პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტკ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, [illegible] № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 2, მე-2 სართული ტელეფ. 5—42

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 74 სამშაბათი, 3 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20.000 მან. № 74

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

ლოზანის კონფერენციის განახლება მოსალოდნელია 20 აპრილამდე.

ანგორის პრესა უკმაყოფილოა მოკავშირეთა პასუხით და აღნიშნავს ომის შესაძლებლობას ახლო აღმოსავლეთში.

რურის ოლქში სისხლის მღვრელი შეტაკებანი გრძელდება.

მოსკოვში გაიხსნა რ. კ. პ. საგუბერნიო კონფერენცია რომელზედაც პირველი მოხსენებით გამოვიდა ამხ. კამენევი.

ცირკულიარულად

ანტისარწმუნოებრივი კამპანია

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა სამაზრო და სამაზრო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სამი თვის წინად დაწყებული ანტირელიგიური კამპანია მუშებისა და გლეხების ფართე მასებს მოედო. „სარწმუნოებრივ შარლატანობასთან“ ბრძოლამ ღრმა გამოძახილი ჰპოვა მშრომელ მასებში. არ დარჩენილა სოფელი, სადაც სამღვდელოებასთან და მის აპარატთან—ეკლესიასთან ულმობელი ბრძოლის შესახებ ჩვენი ლოზუნგი მშრომელთა ფართე მასებს არ გაეგოთ როგორც ბრძოლის და საუკუნოებრივ ჩაგვრა-მონობისაგან განთავისუფლების ლოზუნგი.

ანტი-რელიგიური კამპანია, რომელიც ახლა ტარდება, ამტკიცებს, რომ საქართველოს მშრომელი მასები არ ყოფილა ეკლესიის მიერ მორალურად ძლიერ დამონებული. საჭირო დარჩა დაძახება—და მშრომელთა მთელი მასა, როგორც ერთი კაცი აღგა ეკლესიასთან საბრძოლველად.

საქართველოს ყველა კუთხეებში მუშები და გლეხები ძალდაუტანებლათ იკრიბებოდენ სოფლის კრებებზე და აუწერელი ენტუზიაზმით იწყებდენ სარწმუნოებისა და სამღვდელოების წარსული კეთილდღეობის ამ უკანასკნელი ნაშთების - ეკლესიების დახურვას.

ზოგიერთ სოფლებში გლეხობა ისე გაბრაზებული იყო, რომ მზად იყვენ ძირიან-ფესვიანად დაენგრიათ ეკლესიები. ადგილობრივ ხელისუფლებას უხდებოდა მათი დამშვიდება. ბევრ სოფლებში გლეხები ეკლესიებიდან ყრიდენ ხატებს, იღებდენ ჯვრებს და იქვე გამოჰქონდათ დადგენილება მთელი ამ ნაგავის დაწვის და ეკლესიების შენობების კულტურის ტაძრათ გადაკეთების შესახებ.

ჩვენს განკარგულებაში მყოფ ცნობით, ზოგიერთ მაზრებში ყველა ეკლესიები დახურულია, ზოგან კი ნახევარი. უკანასკნელი ცნობით დახურულია 450 მეტი ეკლესია და ყველა ისინი გადაკეთებულია კლუბებათ, თეატრებათ, ბიბლიოთეკებათ, სკოლებათ, სამკითხველოებათ და სხვა.

ამ მიმართულებით მუშაობა თანდათანობით ინტენსიურ ხასიათს იღებს. ადგილობრივი პარტ-ორგანიზაციები ვალდებული არიან ამ მხრივ გამოიჩინონ მაქსიმუმი ენერგიისა და ტაქტიანობისა. ეჭვს გარეშეა, რომ სამღვდელოება, რომელიც გრძნობს თავის გაწირვას და უძლურობას მშრომელთა მასებთან ბრძოლაში, არავითარ აქტიურ ან პასიურ წინააღმდეგობას არ უწევს. მაგრამ მისი (სამღვდელოების) ნაწილი უსათუოდ დაიწყებს ამ მიმართულებით პროვოკაციულ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას, სწორედ აქ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ფრთხილად უნდა იყონ, რომ ძირშივე ჩაჰკლან ყოველგვარი პროვოკაციული ხმები.

[illegible]ლთა მასებზე ეკლესიების დახურვაში ძალდატანება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული. მთელი ინიციატივა და თვითმოქმედება უნდა დაეთმოს მშრომელ მასებს, მათის საშუალებით და მათგან უნდა გამომდინარეობდეს ყველაფერი.

მიმდინარე კამპანია ნათლათ გვიჩვენებს, რომ მშრომელი მასები ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე შეუდგენ წარსულის უკანასკნელი ნაშთების დანგრევას და მოსპობას, და უნდა ითქვას, რომ ერთი წლის განმავლობაში ამ მუშაობას ისინი ღირსეულათ დაამთავრებენ.

არ დარჩება საქართველოში მონობის აპარატი და ადგილი არ ექნება მუქთა-ხორებს და პარაზიტებს—თეთრს და შავ სამღვდელოებას.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის დებულება, რომ ეკლესიების მოსპობა და იქიდან მღვდლების განდევნა კიდევ არ ნიშნავს სარწმუნოების, როგორც ასეთის, დალუპვას.

ამ მიმართულებით ჩვენ დაგვჭირდება არა ერთი და ორი წლის შრომა. სარწმუნოების აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ სისტემატიური პროპაგანდისტული მუშაობით, საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის და მარქსიზმის გავრცელებით, და რაც ამ შემთხვევაში უმთავრესია—მეცნიერული, სერიოზული ანტი-რელიგიური ლიტერატურის საშუალებით. ამ მხრივ ცოტაოდენი რამ კეთდება ადგილებზე. ცენტრი იღებს ყველა ზომებს ანტი-რელიგიური პროპაგანდის გასაღრმავებლათ, სათანადო ლიტერატურის გამოსაცემათ და სხვა.

საქართველოს კ. პ. ც. კ-ის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალ პერიოდში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების ძირითად მუშაობას—ანტირელიგიური პროპაგანდა უნდა წარმოადგენდეს. ანტი-რელიგიურ წარმოდგენებისა და სამღვდელოების გასამართლების გამართვა, ანტი-რელიგიურ თემებზე ლექციების კითხვა და ანტირელიგიური ხასიათის ფართე სახალხო დემონსტრაციები უნდა გახდეს მუშაობის ძირითადი ფორმა და შინაარსი.

ბევრ მაზრებში მშრომელთა დადგენილებით დახურულია ეკლესიები და სხვა არაფერი გაკეთებულა. არ არის საკმაო ეკლესიების დახურვა მარტოოდენ წირვა ლოცვის შესაწყვეტათ, საჭიროა იმთავითვე მათი გამოყენება განმანათლებელ მიზნებისათვის (თეატრი, კლუბი, სამკითხველო, სკოლა, წიგნთსაცავი და სხვა).

ახლოვდება „აღდგომა“. მშრომელი ხალხი ჩვეულებისამებრ და უმთავრესად ეკლესიებისაკენ მიილტვოდა დროს გასატარებლათ და საიხარულოთ. „აღდგომის“ დღეს მღვდლებისათვის დახურულ, მაგრამ მშრომლებისათვის კლუბებათ გადაქცეულ ეკლესიებში ხალხს უნდა მიეწოდოს გართობისა და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაქსიმუმი.

საქართველოს კ. პ. ც. კ-ის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება ფიქრობს, რომ ადგილობრივი პარტ-ორგანიზაციები გაითვალისწინებენ ანტი-რელიგიურ პროპაგანდისა და მშრომელთა სულიერ განწყობილების მთელს მნიშვნელობას.

აღნიშნულ მიზნისათვის ფართეთ გამოყენებულ იქნას წინეთ გაგზავნილი ცირკულიარები, თეზისები და ლიტერატურა.

საქართველოს კ. პ. ც. კ-ის
მდივანი მ კახიანი
სააგიტაციო-საპროპაგანდო გან-ის
გამგის მოადგილე ა. კვირიკაძე

ბურჟუაზიული სასამართლოს განაჩენი მენშევიკების შესახებ

თავის დროზე ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო გერმანიაში საბჭოთა ფედერაციის სრულ-უფლებიანი წარმომადგენლის, ამხ. კრესტინსკის დეპეშა რკინის გზის ქონების პროცესის მოგების შესახებ.

ჩვენ მაშინვე მოკლედ გავაცანით მკითხველს ამ საქმის ისტორია და მის გამო გერმანიის სასამართლოს განაჩენის აზრი და მნიშვნელობა.

დღეს იბეჭდება შედარებით ვრცელი ანგარიში ბრემენის სასამართლოს სხდომის, რომელზედაც ეს საქმე გაირჩა.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მაზე კვლავ შევაჩეროთ საქართველოს მშრომელი მასსის ყურადღება.

მენშევიკები ბურჟუაზიული სასამართლოს წინაშე წარსდგნენ შეიარაღებულნი ყველა თავიანთი „არგუმენტებით“, რათა დაემტკიცებიათ, რომ გერმანიაში ქართველი ხალხის ფულით შეძენილი სარკინიგზო ქონების კანონიერი პატრონი არის მხოლოდ ბ. ჟორდანიას მთავრობა.

ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას ჰქონდა არა მარტო მატერიალური ხასიათის მნიშვნელობა,—რამდენადაც ჩვენი რესპუბლიკა უაღრესად საჭიროებს რკინის გზის ტრანსპორტის გაუმჯობესებას, რასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მასალების დაბრუნება საქართველოში,—არამედ მას აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც, რამდენადაც ის გამოხატავს ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრს, ბურჟუაზიულ სასამართლოს შეხედულებას ჩვენ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

ბურჟუაზიულ მსაჯულებს ვერავინ დასწამებს მიკერძოებას და თანაგრძნობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. და თუ მათ ხსენებული პროცესსი გადაჭრეს საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, ეს მოწმობს, თუ რა წყალწაღებული ყოფილა მენშევიკების არგუმენტები და რა უდავო საბჭოთა მთავრობის უფლებები. მთავარი პოლიტიკური საკითხი, რომელსაც შეეხო ბრემენის სასამართლო, მდგომარეობს იმაში, თუ ვინ არის საქართველოს ნამდვილი კანონიერი მთავრობა, რომელსაც უფლება აქვს აღნიშნულ ქონების მიღებაზე.

მენშევიკებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადეს, რომ სწორედ მათი მთავრობაა ასეთი. ამის „დასასაბუთებლად“ ისინი ემყარებიან დახავსებულ ბურჟუაზიულ—უფლებრივ შემეცნებას, ამასთან ყალბ ინფორმაციას აწვდიან სასამართლოს საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილის შესახებ.

მათი სიტყვით, ბ. ჟორდანიას მთავრობა ხალხის მიერ არჩეული და კანონიერი მთავრობაა, რომელსაც დღესაც მხარს უჭერს მთელი ქართველი ხალხი და რომელსაც აქვს უფლება ილაპარაკოს და იმოქმედოს საქართველოს სახელმწიფოს სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ის პარიზშია მოკალათებული და მოკლებული ყველა იმ ატრიბუტებს, რომელნიც დამახასიათებელია ყოველი მთავრობისათვის ეს უკანასკნელი აიხსნება იმ გარემოებით, არწმუნებს მენშევიკების წარმომადგენელი ბრემენის მსაჯულებს, რომ საქართველო დაიპყრო უცხო ძალამ, წინააღმდეგ ქართველი ხალხის ნებისა. დღეს საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება არ არის კანონიერი, ის არ არის შემდგარი კონსტიტუციონური გზით, არამედ საოკუპაციო მთავრობაა, რომლის წინააღმდეგ მუდმივ იბრძვის ქართველი ხალხი.

აქედან: მენშევიკების დამცველის აზრით, აღნიშნული სარკინიგზო ქონებაზე საბჭოთა ხელისუფლების უფლების ცნობა იქნებოდა დარღვევა სახელმწიფო უფლების, კონსტიტუციის და ძალადობის დადასტურება.

პირდაპირ მომაბეზრებელია მენშევიკების ასეთი „არგუმენტაცია“.

ჯერ ერთი: ამ ბურჟუაზიული კონსტიტუციის მოყვარე ხალხს უნდა გავახსენოთ, თუ როგორ მოხდა მენშევიკური მთავრობის საყოველთაო არჩევნები. ეს იყო უხეში ძალადობა, ხალხის ნებისყოფის ცინიკური ფალსიფიკაცია. თუ რამდენად იყვნენ მენშევიკები ჩვენი ხალხის ინტერესების და ნებისყოფის დამცველნი და გამომხატველნი, ეს დაამტკიცა მშრომელ მასსამ თავისი მუდმივი აჯანყებებით ამ ნამდვილ უზურპატორების წინააღმდეგ.

შედეგად ამ აჯანყებებს კიდეც მოჰყვა მათი დამხობა, მათი ხელმძღვანელების გაძევება.

რაც შეეხება მათ „საბუთს“ საბჭოთა მთავრობის არაკონსტიტუციონური ხასიათის შესახებ, რომელი „საბუთიც“ განრახული იყო ბურჟუაზიულ მსაჯულებზე ერთგვარი შთაბეჭდილების მოსახდენად, ჩვენ შეგვიძლია მოვაგონოთ ბ. მენშევიკებს, რომ ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ბურჟუაზიული კონსტიტუციის და უფლების ფეტიშისტები. რაც შეეხება ჭეშმარიტ მუშურ კონსტიტუციას. შრომელთა მასსების მიერ თავიანთი ხელისუფლების ორგანოების არჩევას და მათ წინაშე ამ უკანასკნელების პასუხისმგებლობას, ეს სავსებით განხორციელებულია ჩვენში.

რა უყოთ რომ არჩევნებმა, რომლებიდან განდევნილია ყველა არამშრომელი და პარაზიტი ელემენტები გამარჯვება საბჭოთა, მუშურ-გლეხურ მთავრობას მიანიჭა და არა ბ. მენშევიკებს. ამაზე მათ შეუძლიათ მართლა ინაღვლონ და კბილები აკრაჭუნონ. მაგრამ ასეთია მშრომელი ხალხის ურყევი გადაწყვეტილება, რომ ჰყავდეს თავისი ინტერესების დამცველი მთავრობა, და არა ბურჟუაზიის აგენტები—მენშევიკები.

ეს ხელისუფლება უკვე მესამე წელიწადია, რაც არსებობს ჩვენში. ყველა მიუდგომელი მეთვალყურე ხედავს თუ როგორ ღრმად გაიდგა მან ფესვები ხალხის ფართე მასებში, თუ როგორ მტკიცეა ის, თუ როგორ იცავს მას აქტიურად ჩვენი ხალხი, თუ როგორი მჭიდრო კონტაქტი არსებობს მათ შორის, თუ როგორაა მთელი ხალხი უშუალოდ ჩაბმული ცხოვრების აღმშენებლობაში თავის მთავრობის ხელმძღვანელობით და დახმარებით.

საბჭოთა ხელისუფლებას აქვს ნამდვილი მთავრობისათვის ყველა დამახასიათებელი თვისებები. მას ეკუთვნის ჩვენს ტერიტორიაზე მთელი ძალაუფლება.

ეს ცხადი შეიქმნა ბრემენის მოსამართლეთათვის, ამის უარყოფა ვერ მოახერხეს მენშევიკებმაც, და ამის შემდეგ რა უფლებით გამოდიან ეს ვაჟბატონები საქართველოს სახელით. მათ აქ მომხრე არა ყავთ არამც თუ საერთოდ ქართველ ხალხში, არამედ მათი, მენშევიკების შეთხელებულ რიგებშიც, რომლებიც მასსიურად გარბიან იქიდან და გადმოდიან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ბრემენის სასამართლო ურყევმა ობიექტიურ ფაქტებმა იძულებული გახადა არ ეცნო „მენშევიკური მთავრობა“ საქართველოს მთავრობად; ასეთი, მისი აზრითაც, მხოლოდ საბჭოთა მთავრობაა, რის მიხედვით კიდეც გამოიტანა სათანადო გადაწყვეტილება რკინის გზის ქონების კუთვნილების შესახებ.

მშრომელ მასებმა ბევრი ხანია, რაც მენშევიკებს წესი აუგეს.

ისინი დამარცხდენ ბურჟუაზიული სამსჯავროს წინაშეც.

ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი თანდათან იძულებული ხდება შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ არსებობს გამარჯვებული პროლეტარიატი, არსებობს მისი მთავრობა, რომელიც დღითი-დღე მტკიცდება.

ამის ერთი ნიმუშია ბრემენის სასამართლოს განაჩენი.

ფაქტების ლოღიკა მთელ ბურჟუაზიას იძულებულს გახდის დღეს თუ ხვალ ქედი მოიხაროს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის და ძალის წინაშე

ეს იქნება ამავე დროს მენშევიკების საბოლოო აღსასრულიც.

სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენა

რუსეთი და მისი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები უმთავრესად სამეურნეო ქვეყნებია და მათი ეკონომიური ცხოვრება პირველად ყოვლისა მჭიდროთ დამოკიდებულია სასოფლო მეურნეობის საერთო მდგომარეობასთან. მთ[illegible] საბჭოთა-ფედერაციის სახალხო მეურნეობის უმთავრესი დარგი სოფლის მეურნეობაა, რომელიც წარმოადგენს ძირითად საფუძველს მოწყველობისას და უკანასკნელის განვითარების პერსპექტივები სავსებით დამოკიდებულია პირველის აღორძინება განვითარებაზე.

ჯერ კიდევ ძველის დროიდან ცნობილია, რომ ომის და ბრძოლის დროს მეურნეობის და მიწად მოქმედების განვითარება არ ხერხდება, პირიქით ის ნადგურდება, დაბლა ეცემა, მისი ნაყოფიერება საგრძნობლათ მცირდება. სწორედ ამის გამო 1914 წლიდან, როდესაც დაინთო საერთაშორისო ცეცხლი მსოფლიო მასშტაბით და ათეულ მილიონიანი ჯარები უმთავრესად მიწის მუშებიდან მედგრად ერთმანეთს ეხეთქებოდენ და დაუნდობლათ ანადგურებდნენ ყოველივეს, სოფლის მეურნეობა ჩამოქვეითდა, განადგურდა.

საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც გახდა მემკვიდრე ასეთი უნუგეშო მდგომარეობისა, არ ქონდა საშუალება თავიდანვე საკმაო მზრუნველობა გამოეჩინა სოფლის მეურნეობისადმი. სამოქალაქო ომის ქარცეცხლის დროს, როდესაც ბეწვზე ეკიდა თვით არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, შეუძლებელი იყო მშვიდობიანობითი აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება, მაგრამ საკმაო იყო ომის საშიშროება ოდნავ მინელებულიყო, რომ სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ზრდა თვალსაჩინო გამხდარიყო. გასული წლის მოსავალმა არა თუ დაფარა წინა წლებში უკიდურესად დამშეული ქვეყნის მოთხოვნილება, არამედ საკმაო მარაგს სტოვებს მომავალისთვის და უკვე შესაძლებელი გახდა მისი საზღვარ გარეთ გატანაც. მაგრამ მიუხედავათ ამისა სასოფლო მეურნეობა ჯერ კიდევ უნუგეშო მდგომარეობაშია, ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო სიმაღლეზე და სასოფლო სამეურნეო აღორძინების საკითხი ჯერ კიდევ მთავარ ამოცანათ არის აღიარებული. ამ ამოცანის სავსებით გადაჭრისათვის საჭიროა მთლიანი და ნათელი სურათის შედგენა სასოფლო მეურნეობის არსებული მდგომარეობაზე, რომ აშკარა გახდეს მისი ყველა მტკივნეული მხარეები სწორ დიაგნოზის დასაყენებლათ, მის სრულ განსაკურნავათ სათანადო ზომების მიღებით. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სწორი პერსპექტივის გათვალისწინება, მუშაობის სწორი გზით დაყენება.

ამ მიზნით ჯერ კიდევ გასულ წელს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ განიზრახა მოსკოვში სრულიად რუსეთის სასოფლო მეურნეობის გამოფენა შინამრეწველობის განყოფილებით. გამოფენის გახსნა განზრახულია აგვისტოსათვის, წინასწარი მუშაობა ამ გრანდიოზული გამოფენისათვის უკვე დიდი ხანია დაწყებულია არა მარტო რუსეთში, არამედ მთელი ვებერთელა საბჭოთა ფედერაციის სივრცეზე და მის გარეშეც.

ამ საერთო მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობს ამიერ კავკასია და კერძოთ საქართველოც, სადაც უკვე შესდგა გამოფენის კომიტეტი მიწადმოქმედების კომისარიატთან და თუ ექსპონატები საკმაო სისრულით და რაოდენობით იქნა წარდგენილი გამოფენაზე, თავისი ბუნების და კულტურის თავისებურობის გამო უკანასკნელნი საერთო ყურადღებას მიიპყრობს. უცხოეთის სახელმწიფოებიც, როგორც მაგ. ოსმალეთი, გერმანია და შვეიცარია უკანასკნელი ცნობებით უკვე ემზადებიან ამ გამოფენაში ფართო მონაწილეობის მისაღებათ. რუსეთი ღებულობდა უკანასკნელ დროს საზღვარგარეთ მოწყობილ სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობას და მისი განყოფილება საერთო ყურადღებას და ინტერესს იწვევდა. როგორც სჩანს არა ნაკლებ ინტერესს გამოიწვევს უცხოეთში მოსკოვის გამოფენა და ეჭვი არ არის, რომ განზრახული გამოფენა სრულებით მიაღწევს დასახულ მიზნებს და მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიქნება საბჭოთა ფედერაციის ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

B.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 15).

მოსკოვი. 30 მარტი. ტემპერატურა 37,8 მაჯისცემა—120. საერთო მდგომარეობა უკეთესია.

მოსკოვი—31 მარტი, დღის 2 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფორსტერი, კრამერი, ბუმკე.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.



ამხ. ლენინი

ვინ მკურნალობს ამხ. ლენინს

ქვედა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): **ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სემაშკო, პროფ. მინკოვსკი, პროფ. ჰენშენი, პროფ. შტრიუმპელი, პროფ. ნონნე, პროფ. ბუმკე.**
ზედა რიგში: პროფ. კრამერი, პროფ. ფიორსტერი, პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.

დაკეტილი მდუმარება.

(ჩვენი ილიჩის ავადმყოფობის გამო).

ვინ აკაკუნებს იქ აივნიდგან,
ან ვინ ეხება აქ სარკმლის დარაბს?
მტრედი დაეშვა იქ ხეივნიდგან,
თუ „შავი ჩიტი“ გაექცა არაბს?!.

მისკარტით მოხვდა პირველი იქ კარს,
თუ აქ მეორე მოაწყდა სარკმელს?
პირველს მოსვლაზე არ ვეტყვით ჩვენ ვარს,
მეორისთვის კი მოვნახავთ სათქმელს!..

ჩვენი ოთახი დაკეტილია,
ვით განძეულის ძვირფასი ყუთი:
„ჩანგს“ ერთი სიმი შეწყვეტილია,
მაგრამ ზედ მრთელი არის ჯერ ხუთი!..

ყოველის კუთხით გამოვიწვიეთ
სიმთა შემწყობი ხელოვანები:
მიზეზი რიგზე გამოვიკვლიეთ,
წინ-წინ მოვსინჯეთ ამოცანები.

ჩვენთვის ძვირია ამ „ჩანგის“ ჟღერა,
ჩვენ ვერ ავიტანთ იმის დალუპვას,
თუმც ვურიგდებით და თანაც გვჯერა,
რომ შვება ელის მის ხმათ დაკუბვას!..

მისთვის დავკეტეთ მჭიდროთ კარები
და დარაბებიც ჩამოვიხურეთ:
მოგველის ჩვენ დღე გამახარები,
თუმც ჭირის ოფლად კი დავიწურეთ...

„ჩანგს“ შეწყვეტილი სიმი გაებმის,
ზედ კვლავ მოვისმენთ სიმთ გარმონიას:
ამ დუმილს ჟღერა ისევ შეებმის
და კვლავ მოსტაცებს გეგემონიას!..

მაშ, კარებს ა იქ ვინ აკაკუნებს,
ან აქ დარაბზე ვინ ახმაურდა?
სიცოცხლე ჯარას ვერ შეაბრუნებს,
აღარ ახდება, სიკვდილს რომ სურდა!..

ნახეთ, კარს, მართლაც თუ ეკა მტრედი?
ნუ გეშინიათ. გააღეთ კარი!
სანდო ხელშია აქ „ჩანგის“ ბედი
და თადარიგიც ყველა მზათ არი!..

მტრედს კი შევაბით ყელზე ბარათი:
დეე გადასცეს ყველა ნაპირებს
ძვირფასი ცნობა, ვით ამანათი,
რომ „ჩანგი“ ჟღერას ისევ აპირებს!..

ნ. ზომლეთელი.

რადიო-დეპეშები

ამხ. კოლაროვის დაპატიმრება

მოსკოვი. 2 აპრილი. **ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ბოლგარიის კომპარტიის წევრი, კომინტერნის მთავარი მდივანი კოლაროვი დაპატიმრებულ იქნა სამხრეთ-სლავიის ხელისუფლების მიერ მიუხედავათ სამხრეთ-სლავიის მთავრობის მიერ მასზე გაცემულ ვიზისა, რომლის ძალით მას უფლება ეძლეოდა გაევლო ბოლგარიაში სამხრეთ-სლავიის ტერიტორიით.**

რურის ოლქის ოკუპაცია

სისხლის მღვრელი შეტაკებანი ესსენში.

მოსკოვი. 2 აპრილი. **ესსენში საფრანგეთის ჯარის კაცთა მიერ ავტომობილთა გარაჟებისა და კრუპის ქარხნების დაჭერების დროს მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება.** ფრანგული ვერსიის თანახმათ, ქარხნის ტერიტორიაზე შეგროვილმა 10,000 მა მუშამ ალყა შემოარტყა საფრანგეთის ჯარის კაცებს და მოუჭრა მათ ქარხნიდან გამოსავალი. საფრანგეთის ჯარის კაცებმა დაუწყეს მათ ტყვიის მფრქვეველებიდან სროლა. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი დიდია. გერმანულ ვერსიის თანახმად, ფრანგებმა ასტეხეს სროლა მხოლოთ იმიტომ, რომ მუშებმა თავის დროზე ვერ შეასრულეს განკარგულება ქარხნის ტერიტორიის გაწმენდის შესახებ.

მრეწველთა წინააღმდეგობა

მოსკოვი. 2 აპრილი. რურის ოლქის მსხვილ მრეწველებმა დაადგინეს უარი სთქვან ოკუპანტების მიერ ნახშირზე დაწესებულ გადასახადის გადახდაზე, განაცხადა რა, რომ მთელ პასუხისმგებლობას ამ უარის თქმისათვის ისინი ღებულობენ პირადათ თავის თავზე.

საფრანგეთის ცნობები ესსენის ამბების შესახებ.

პარიზი. 2 აპრილი. ესსენში კრუპის ქარხნებში მივიდა საფრანგეთის ჯარისკაცების რაზმი ჩხრეკის და რეკვიზიციის მოსახდენად. სიგნალით მოგროვებულმა მუშებმა მუქარით მიმართეს მათ და სცადეს მათზე ორთქლის ნაკადებით მოგერიება, ამის გამო რაზმმა მათ აუტეხა სროლა, რის შემდეგ აღმოჩნდა 50 მოკლული და დაჭრილი გერმანელი. ფრანგების მხრივ მსხვერპლი არ არის, ამის შემდეგ ქალაქში მასიარული ნახშირის კონტროლიორებს თავს დაესხა ბრბო, დაჭრილია შოფერი, დამტვრეულია ავტომობილი, ხოლო ინჟენერ-კონტროლიორებს უზომოდ სცემეს. დამნაშავეებს დასასჯელად გამოცხადებულია დახვრეტა.

ოკუპაციის გარშემო

„მატენი“ ეჭვობს.

რომი. 2 აპრილი. ეხება რა რურის კონფლიქტში ვატიკანის ჩარევის შესაძლებლობის შესახებ გავრცელებულ ხმებს, „მატენს“ ეჭვი შეაქვს ამ ჩარევის ნაყოფიერებაში და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ომის გამო საფრანგეთის დანგრეულ რაიონების აღდგენის შემდეგ გერმანიას შეუძლია მთლის პატიება.

გერმანია მზად არის დანებდეს.

რომი. 2 აპრილი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანია მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება რურის ევაკუაციამდე.

კასპარის საიდუმლო მოლაპარაკებანი.

რომი. 2 აპრილი. ბრიუსელში დაბრუნებულმა, ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა კასპარმა განაცხადა, რომ ის ძლიერ კმაყოფილია მისი იტალიაში გამგზავრებით და იქ მიღწეულ შედეგებით. კასპარის განცხადებით, მის საუბარს მუსოლინთან ჰქონდა არაოფიციალური ხასიათი და ამიტომ მას არ შეუძლია მიაწოდოს გაზეთებს რაიმე ცნობები. კასპარს თათბირი ჰქონდა ბელგიის მეფესთან და პრემიერ ტენისთან, რომელთაც გააცნო მუსოლინთან მისი თათბირის შედეგები.

ცხოვრებაში ატარებენ.

პარიზი. 2 აპრილი. რეინლანდის ინგლისის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა გენ. გოდლეიმ ლონდონში განაცხადა, რომ საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმება რკინის გზების შესახებ ძალაში შევა 3 აპრილიდან.

ინგლისმა უარი სთქვა შუამავლობაზე

მოსკოვი. 2 აპრ. „პტი პარიზიენ“-ის ცნობით თითქოს გერმანიის ელჩმა ლონდონში ინახულა ბონარ ლოუ, რომელსაც ის სთხოვდა მიეღო თავის თავზე ინიციატივა საფრანგეთისა და გერმანიის შორის მოლაპარაკების განახლების საქმეში. გაზეთის სიტყვით ბონარ ლოუმ კატეგორიულად უარყო ელჩის წინადადება და განაცხადა, რომ გერმანიამ უშუალოთ უნდა მიმართოს საფრანგეთს და ბელგიას.

ფრანკფურტის კონფერენციაზე

კიდევ ერთი ნაბიჯი წინ.

მოსკოვი. 2 აპრილი. ამხ. ლოზოვსკი „იზვესტიაში“ მოთავსებულ წერილში, იხილავს რა ფრანკფურტში საერთაშორისო კონფერენციის შედეგებს სწერს: „ამ კონფერენციას დაესწრო არა მარტო კომუნისტები, არამედ რევოლიუციონური სინდიკატები, სოციალ-დემოკრატი მუშები და დამოუკიდებლებიც. პრაქტიკაში შეიქმნა ის მთლიანი ფრონტი, რომლის სიმტკიცეზეა დამოკიდებული მუშათა მასების სიცოცხლე. კონფერენციამ ყველა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოთა მუშებს მიუთითა იმ კონკრეტიულ გზებზე, რომელიც შეადგენს მათ უშუალო ამოცანებს ამ მომენტში. ფრანკფურტის კონფერენციამ გამოააშკარავა, რომ მესამე ინტერნაციონალისა და პროფინტერნის მიერ აღიარებული ტაქტიკა მთლიანი ფრონტის შესახებ გამომდინარეობს მუშათა მასების ღრმა მოთხოვნილებებიდან. რევოლიუციონურმა მუშებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს ესსენში მეორე ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა ფრანკფურტში. შექმნილია მოქმედების საერთაშორისო კომიტეტი და იქმნებიან ძმობის სარაიონო ნაციონალური კომიტეტები. გზა ნაჩვენებია და მხოლოდ დაგვრჩა განვაგრძოთ მუშაობა და ჩვენ გავიმარჯვებთ.

რუსეთი და ინგლისი

[illegible]

მოსკოვი. 2 აპრილი. 31 მარტს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ინგლისის სავაჭრო წარმომადგენლის ოდჯსონის განცხადება, რომელშიაც ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის სახელით ის ითხოვს შეჩერებულ იქნეს ბუტკევიჩზე გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა და აღნიშნავს, რომ განაჩენის სისრულეში მოყვანა ზიანს მოუტანს რუსეთის მთავრობას. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მოკავშირეთა საქმეების განყოფილების გამგემ პასუხში აღნიშნა, რომ რუსეთი წარმოადგენს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს და მას შეუზღუდავი უფლება აქვს გამოიტანოს განაჩენები, საკუთარი კანონმდებლობის მიხედვით. ყოველგვარი ჩარევა გარედან ჯაშუშების და

მენშევიკური მთავრობა გერმანიის სამსჯავროს წინაშე

საქარ. რკინის გზის ქონების შესახებ

საქართველოდან გაქცევის დროს მენშევიკურმა მთავრობამ სხვა ნადავლთა შორის გაიტაცა თან საქართველოს რკინის გზის ქონება, რომელიც შეძენილი იყო გერმანიაში ცნობილი ფირმა „გერმესის და ამხ. სააქციონერო საზოგადოებისაგან“ და რომლის ნაწილი უკვე უახლოვდებოდა საქართველოს ნავსადგურებს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისას. მენშევიკური მთავრობა ამ დროს უკვე გემებს ტვირთავდა საქართველოს ქონებით და გასაქცევათ ემზადებოდა ევროპაში. რასაკვირველია ის შეეცადა, რომ გემ „მადერასით“ მოსული რკინის გზის მასალები უკანვე ბრემენში დაებრუნებია და როგორც ის, აგრეთვე დანარჩენი ქონება მოეხმარებია ისე, როგორც მას დასჭირდებოდა.

ნ. ჟორდანიას მთავრობა პარიზში მოკალათებული, დარწმუნებული იმაში, რომ ის საქართველოს ვეღარ იხილავს, შეუდგა გატაცებულ ქონების გასაღებას ევროპის ბაზარზე და ამ მოსაზრებით თავის წარმომადგენელ ნიკოლოზ იოსებიძე ჟაყელის საშუალებით შეუდგა ფირმებთან მოლაპარაკებას, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ამ ქონებაზე საქართველოს მშრომელი მასების სახელით თავისი უფლებები განაცხადა და რასაკვირველია სხვისი ქონების მყიდველი ევროპის ბაზარზე არავინ აღმოჩნდა. ამ ქონების კუთვნილებისამებრ მისაღებათ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ თავიდანვე ევროპაში გაგზავნა ამხ. ი. ელბაქიძე და ინჟ. კენკე, რომლებმაც დაწვრილებითი ცნობები შეკრიბეს სარკინიგზო ქონების შესახებ, და სხვათა შორის მათ მოუხდათ მოლაპარაკების წარმოება ყოფილ მენშევიკურ მთავრობის წარმომადგენლებთან. ამ მოლაპარაკების დროს მენშევიკების წარმომადგენელმა ჟაყელმა მოინდომა ამ ქონების გაყიდვა თვით საბჭოთა მთავრობაზე, მაგრამ არც ეს მოხერხდა. ამის შემდეგ საქმე გადავიდა გერმანიის სასამართლოში.

ბრემენის სასამართლოში.

საქმე გაირჩა ლანდგერიხტის მესამე სამოქალაქო პალატაში იურისტ-ულრიხის, ალფეს და ახელის მონაწილეობით. სასამართლოს ოქმი ეხება საკითხს მხოლოდ საქმიანი თვალსაზრისით. ოქმში მოთხრობილია ქონების შეძენის და გაყიდვის განზრახვის ისტორია (მეორე გემით გატაცებულ ქონებას, რომელიც საბერძნეთში იმყოფება, სასამართლო არ შეეხება), საიდანაც ჩანს, რომ ჟაყელს, როგორც მენშევიკების ეკონომიურ წარმომადგენელს, 1921 წლის 27 აპრილის ხელშეკრულებით მიენიჭა ფირმისათვის ამ ქონების გაყიდვა. მაგრამ ფირმას ეს არ შეუსრულებია, რადგანაც „დემოკრატიულ მთავრობა“, როგორც ნათქვამია ოქმში, „გადატანილ იქნა ტფილისიდან“ პარიზში, რადგანაც 1911 წლის დასაწყისში ძალა-უფლება საბჭოთა მთავრობის ხელში გადავიდა, რომელმაც თავის უფლებები განაცხადა გასაყიდ ქონებაზე. ჟაყელმა განასაჩივრა საქმე. სადაც წარადგინა ყველა საბუთები და მოსაზრებანი საჩივრის მოსაგებათ.

ვინ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს მთავრობათ.

მოჩივანი ასაბუთებს თავის მოთხოვნილებას მით, რომ საბჭოთა მთავრობა სხვისი სახელით ამტკიცებს თავის ძალაუფლებას, რადგანაც აქ ვითომ საქმე გვაქვს სამხედრო ოკუპაციასთან. საბჭოთა მთავრობა არაკონსტიტუციოური გზით შედგენილია, გადატრიალება მოახდინა არა შინაურ პარტიებმა და მთავრობის შემადგენლობაში შესახედავათ შეყვანილია ვითომ რამდენიმე საქართველოს მოქალაქე. ნამდვილათ კი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები.

ამის გარდა მცხოვრებთა უმრავლესობა არ არის საბჭოთა მთავრობის მხარეზე, და დემოკრატიული მთავრობა არის ერთად-ერთი კანონიერი მთავრობა, რის გამოც მხოლოდ მას ეკუთვნის ზევით ხსენებული ქონება. თუ ვინიცობაა ეს არ გაიყიდა, ჟაყელი თვით აცხადებდა უფლებას ამ ქონებაზე.

პასუხი.

მოპასუხე ამტკიცებდა, რომ პარიზის დემოკრატიული მთავრობა არ არის სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი და საქართველოს სახელმწიფოს სათავეში საბჭოთა მთავრობაა, რომელიც შესდგა გადატრიალების შემდეგ. ოკუპაციაზე ლაპარაკი შეუძლებელია, საქართველოს საბჭოთა მთავრობა უცხოეთის სახელმწიფოებისგან, და სხვათა შორის, რაპალოს ხელშეკრულებით გერმანიის მიერაც და რეიხსკანცლერის სპეციალურ განცხადებით ცნობილია. საბ. მთავრობამ გააბათილა მომჩივან ჟაყელის მანდატი ფირმა „გერმესთან“, რაც მას ეცნობა საქართველოში გერმანიის წარმომადგენელ რუსტის დეპეშით.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობა ტფილისში ძალაუფლების მატარებელია 1921 წლიდან დღემდე, ამტკიცებს რომ მას აქვს უზენაესი ძალა. ეს მტკიცდება მოწმების განცხადებითაც. რომლიდანაც სხვათა შორის აცხადებენ, რომ მენშევიკებს საიდუმლო დამოკიდებულება აქვთ კურიერების საშუალებით მცხოვრებ ნაწილთან.

სასამართლოს განაჩენი.

მენშევიკურ მთავრობამ დაკარგა ყოველგვარი ძალაუფლება და საქართველოს საბჭოთა მთავრობა სრულებით არ ფიქრობს ძალაუფლების ვისმეზე გადაცემას და არავითარი იმედი არ არის, რომ პარიზის მთავრობამ ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში. **მაშასადამე ერთადერთ მთავრობათ საქართველოში ცნობილ უნდა იქნეს საბჭოთა მთავრობა, რომელსაც უცხოეთის სახელმწიფოები უკვე სცნობენ და განსაკუთრებით გერმანია რეიხსკანცლერის მიმართვით რ. ს. ფ. ს. რ. ელჩთან 5 ნოემბ. 1922 წ.**

არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, სწერია სასამართლოს განაჩენში, თუ როგორ შესდგება საბჭოთა მთავრობა კონსტიტუციის მიერ ნაჩვენები გზით, თუ რევოლიუციით; ადგილობრივი მოქალაქეებიდან შესდგება, თუ უცხო ქვეყნის უზურპატორებიდან; არც მის მომხრეთა რიცხვს აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მისი ძალაუფლება მტკიცეა... ყოველ შემთხვევაში პარიზში მოკალათებულ **დემოკრატიულ მთავრობას არ შეუძლია სახელმწიფო უფლებებით ისარგებლოს და მის წარმომადგენელ ჟაყელს უარი უნდა ეთქვას საჩივარზე სასამართლო ხარჯების მასზე დაკისრებით.**

ქონების დაბრუნება.

ფირმა „გერმესის“ მიერ მიღებული ცნობებით, სარკინიგზო ქონება, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელიც ინახებოდენ ბრემენში, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად უკვე გამოგზავნილია ბათომში გემ „პალნ“-ით.

სთის მოღალატეების დასაცავად წარმოადგენს მტრობას და იმ ინტერვენციის განახლებას, რომელიც ბრწყინვალედ სძლია საბჭოთა რუსეთმა. დასასრულ, ამხ. ვაინშტეინი აღნიშნავს, რომ რუსეთმა მიიღო ცნობები ირლანდიის რესპუბლიკის წარმომადგენლობისაგან, რომელშიაც გადმოგვცემენ, რომ **ინგლისის მთავრობა შეუბრალებლად ხვრეტს ირლანდიის პოლიტიკურ პატიმრებს— 14.000 კაცს, მათ შორის ქალებს, ეპყრობიან ბარბაროსულად.** ამ ფაქტების და ინდოეთში და ეგვიპტეში წარმოებული დასჯის გათვალისწინების შემდეგ არ შეიძლება დასაჯერებელი იყოს ის, რომ ინგლისის მთავრობის მოწოდება ბუტკევიჩის შეწყალებისათვის გამოწვეულია ჰუმანიური მოძრაობით.

რეაქციის ბანაკში

ბავარიის რეაქციონერთა შორის.

მოსკოვი 2 აპრილი. გელდი სტატიათ ილაშქრებს ლიუდენდორფის წინააღმდეგ, რომლის პოლიტიკური მოქმედება მისი აზრით ზიანს აყენებს ბავარიას და საშინლათ ამხედრებულია ლიუდენდორფის მისწრაფებით მოახდინოს ფაშისტური გადატრიალება. ბავარიის კონტრ-რევოლიუციის მესამე სვეტი გიტლერის პარტია სდგას ლიუდენდორფის პლათფორმაზე. განხეთქილება გადატრიალების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის მიდის იმდენათ შორს, რომ გიტლერთან და ლიუდენდორფთან მეკავშირულათ განწყობილი ბავარიის პრესის ნაწილი იხილავს „ქრისტიანთა თავისუფლების“ პარტიაზე ზიტერიხის თავდასხმას, როგორც სოციალ-დემოკრატების მიერ გელდის პარტიასთან ერთად გამომუშავებულ ზომას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მიმოსვლა ოდესა და ლონდონს შუა.

მოსკოვი. 31 მარტი. ოდესაში ჩამოვიდა ინგლისის გემების საზოგადოების „ბაირონი და კომპანიის“ წარმომადგენელი, რომელსაც განზრახვა აქვს ხელშეკრულება დასდოს ლონდონსა და ოდესას შორის საბარგო და სამგზავრო გემების რეისების მოწყობის შესახებ.

კონცესიების განმხილველი კომისია.

მოსკოვი. 31 მარტი. საბჭოთა რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ლონდონის სავაჭრო წარმომადგენლობასთან მოაწყოს კომისია ინგლისიდან და საფრანგეთიდან საკონცესიო და აგრეთვე შერეული აქციონერული საზოგადოების მოწყობის შესახებ შემოსულ წინადადებების განსახილველად.

რუსეთის კპ პარტიის მეათე საგუბერნიო კონფერენცია

მოსკოვი. 2 აპრ. 31 მარტს კავშირთა სახლის კოლონის დარბაზში გაიხსნა რ. კ. პ. მეათე საგუბერნიო კონფერენცია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია უპარტიო მუშებს შორის.

კონფერენციას მიესალმნენ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების უპარტიო მუშების მრავალრიცხოვანი დეპუტატები; გადასცეს საჩუქრათ წითელი დროშები და წარმოსთქვეს მისასალმებელი სიტყვები.

ამხ. კამენევის მოხსენება

მისალმებების შემდეგ ამხ. კამენევმა გააკეთა მოხსენება სრულიად რუსეთის პარტიულ ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხების შესახებ. პირველ რიგში წინანდებურად უნდა იყოს დასმული საკითხი პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის შესახებ. ჩვენი მრეწველობის აღდგენა შესაძლებელი იქნება იმ ზედმეტი შემოსავლის მომჭირნეობით, რომელსაც ვღებულობთ სასოფლო მეურნეობიდან. ამისათვის ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ გლეხობას. საგადასახადო სისტემა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ გლეხს შეეძლოს თავისი სამეურნეო ბიუჯეტის მოწყობა ერთი წლით. სხვადასხვა ზომების საშუალებით უნდა შევათანხმოთ სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერება და მასთან ერთად ბაზა მსხვილი მრეწველობისათვის. მეორე საკითხია ადმინისტრატიული აპარატის გაუმჯობესება ადგილებზე.

ადგილობრივი მუშაკები აუცილებლად უნდა შევცვალოთ ახალგაზრდებით, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მუშაკებით და [illegible] გაიაფდეს ადგილობრივი ადმინისტრატიული აპარატები. პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ურთიერთობის შესახებ ჩვენ გვაქვს გარკვეული შეხედულება. სამეურნეო ორგანოების და საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის ხელმძღვანელობა უნდა ეკუთვნოდეს პარტიას; **მაგრამ მისი ხელმძღვანელობა არ უნდა გადაიქცეს წვრილმან ჩარევათ. ის უნდა იყოს მიზანშეწონილი ხელმძღვანელობა.**

ეხლა, როდესაც ჩვენ წინაშე სდგას შინაგანი აღმშენებლობის კოლოსალური ამოცანები,—ჩვენ აუცილებლათ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაკთა ახალი კადრის აღზრდას. **ამ მიზნით განზრახულია ცეკას გაფართოება 40 წევრამდე.**

ცენტრალური საკონტროლო კომისია უნდა გადიქცეს ცნობის მიმწოდებელ საკონტროლო აპარატათ, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა სფეროში. ცენტრალური საკონტროლო კომისია არჩეული იქნება პარტიის ყრილობის მიერ. ამხ. კამენევის მოხსენების შემდეგ სხდომა იხურება.

კამათი

მოსკოვი 2 მარტი. 1 აპრილის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. კამენევის მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობას ღებულობდნენ: ბელენკი, [illegible], პრეობრაჟენსკი და სხვ. ორატორები მიუთითებდნენ სოფელთან ეკონომიური დამოკიდებულებისათვის საჭირო აპარატის უქონლობაზე. სოფელთან ვაჭრობის 40 პროცენტი კერძო კაპიტალის ხელშია, გლეხობა ვერ სარგებლობს საკმაოდ მრეწველობის პროდუქციით და მოკლებულია მეურნეობის გაფართოების სტიმულებს. აუცილებელია საბჭოთა აპარატის შექმნა სოფელთან დამოკიდებულებისათვის და მრეწველობის პროდუქტების გაიაფება. დანარჩენი ორატორები აღნიშნავდნენ ადმინისტრატიულ და ტექნიკურ აპარატის გაუმჯობესების და გაიაფების აუცილებლობას.

ამხ. კამენევის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია მტრებმა სცადონ პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის დარღვევა და გლეხობის მიმხრობა. საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლასთან ერთად **აუცილებელი ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცება და აგრეთვე საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება.** შეჩერდა რა ეროვნულ კითხვაზე, ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ ეროვნული თანასწორობის ფორმალურად გამოცხადება არ არის საკმარისი. დიდი ხნით მონობაში მყოფ ერებს, რომელთაც არ მოეპოვებათ სკოლები, სტამბები და კულტურული აღმშენებლობის სხვა ელემენტები, უნდა გაეწიოს დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთა თანასწორობა უბრალო ფრაზათ დარჩება.

რეზოლიუცია.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს ცეკას მუშაობის ხაზს საგარეო და შინაური პოლიტიკის სფეროში და მოუწოდებს ცეკას, რათა უკანასკნელმა გადაჭრილი ბრძოლა აწარმოოს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე წარმოშობილ გახრწნილების შემთხვევებთან.

რეზოლიუცია ხაზს უსვამს სრულ სოლიდარობას და თანხმობას პარტიულ რიგებში, წინააღმდეგ მენშევიკების და ესერების ცდისა, რომელიც მიმართული იყო პარტიულ რიგებში განხეთქილების გამოწვევისაკენ.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე მოისმინეს ამხ. ზელენსკის მოხსენება მოსკოვის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს იაჩეიკების განმტკიცებას და უპარტიო მუშებთან კავშირის გაძლიერებას, პარტიის 25 წლის თავის დღესასწაულში უპარტიო მუშების ფართო მონაწილეობა მოწმობს იმას, თუ რამდენად გაიზარდა პარტიის ავტორიტეტი და გავლენა მუშათა მასებზე. საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაობის ხელმძღვანელობის სფეროშიაც მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. მუშათა და გლეხთა მდგომარეობა ამ უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა. ყველა კამპანიები გატარებულია დიდი წარმატებით. ეს აიხსნება პარტიულ ორგანიზაციების შეკავშირებით და მშრომელ მასებთან დამოკიდებულების განმტკიცებით.

ამხ. დომბალის გამოსვლა.

ამხ. დომბალმა, რომელსაც შეხვდენ ოვაციებით, მიუთითა რ. კ. პ. ბრძოლის და მუშაობის მნიშვნელობაზე პოლონეთის პროლეტარიატისათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბორჯომი

ბრძოლა უმუშევრობასთან. გაზაფხულის მიახლოვებისა და მდინარე ბორჯომის გასამაგრებლათ დაწყებულ მუშაობის საშუალებით თითქმის მოსპობილია უმუშევრობა არა კვალიფიციურ მუშებზე. ადგილობრივ შრომის განყოფილების ცნობით 1 თებერვლამდე რეგისტრაციაში გატარდა 711 უმუშევარი. დეკემბრის ბოლოს მოხდა უმუშევართა გაწმენდა, რის შემდეგ აღრიცხვიდან მოხსნილ იქნა 501 კაცი 1 იანვრისათვის დარჩენილი 210 უმუშევარი, 127 მამაკაცი და 83 ქალი, იანვრისა და თებერვლის განმავლობაში ხელახლად გატარებულია რეგისტრაციაში 76 უმუშევარი, მათი რიცხვში 43 მამაკაცი და 33 ქალი. იმავე დროის განმავლობაში გაგზავნილია სამუშაოზე 10 მამაკაცი და 4 ქალი. ამ რიგათ 1 მარტისათვის აღრიცხვაზე აყვანილი იყო 272 უმუშევარი, მათ შორის 160 მამაკაცი და 112 ქალი. შრომის განყოფილების მოქმედება უმუშევრობასთან ბრძოლაში მდგომარეობდა ყველა დაწესებულებათა და წარმოებათა მდგომარეობის გამოკვლევაში. სასწრაფო ზომები, როგორც მაგალითად საზოგადო სამუშაოების და არტელების მოწყობა, მიღებული არ ყოფილა ეხლა, აგარაკის გახსნისთანავე მოსალოდნელია უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია.

აჭარა

ძვირფასი კულტურები. აჭარის აგრარული განყოფილება ადგენს იმ რაიონების სიას, რომლებზედაც გაშენებულია ძვირფასი კულტურა, რომელთა მიმართ საჭიროა განსაკუთრებული კულტურის მფარველი დადგენილებანი. როგორც პრინციპი მიღებულია: ამ რაიონების იჯარით გაცემის დროს უპირატესობა უნდა მიეცეს იმ პირთ, რომლებიც ხელს შეუწყობენ კულტურის აყვავებას და აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც უფრო ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენენ.

პატარა ფელეტონი

„ბრემენიადა“

ბრემენის სასამართლომ უარი უთხრა მენშევიკების მთავრობას რკინის გზის იმ მასალის გადაცემაზე, რომელიც ეკუთვნის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას. (გაზეთებიდან)

ევროპასაც ხვდა საქართველოდან
მენშევიკური ბლომათ ნაკელი
და თან ღირსეულ მებაღითაც იქ
გამოტყვრა ვინმე ნიკო ჟაყელი.
საქართველოში სახელებ შორის
მუდამ იჩენდენ თავს ნიკოები,
დღეს ნაკელ-მოყრილ ევროპის არეს
მოედვნენ, ალბათ, ეგ სოკოები.
„ისინი ჩვენშიც სულ სოკოობდენ,
სადაც ქალაქს კი თვლობდა ნიკო:
სოხუმში - ნიკო, ოზურგეთს - ნიკო,
ფოთში ხომ ნიკო იყო და იყო...
მაგრამ, რაც მოხდა ქალაქ ბრემენში,
ჯერ არვის ახსოვს სკანდალი მსგავსი
და წყალ წაღებულ მთავრობის კაცებს“
ხელში ჩააწყდათ აქ სწორეთ ხავსი!
რაც გაიტაცეს საქართველოდან
ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი თვლები,
იმით ააგეს იქ კაფეები
და წამოჭიმეს კოხტა სახლები.
მოგეხსენებათ, ამ ყასიდ ხარჯებს
ჯიბეში ბლომათ ფული სჭირია
და უხაზინო „ექსმინისტრებსაც“
მოაკლდეს ის, რა გასაკვირია?!.
მაგრამ თან აზრი გენიალური
იქ ერთ ვისიღაც იშვა გოგრაში:
იხატებოდა ეს სარკინიგზო
რკინის მასალის „გამოკონხნაში“!..
მხოლოთ მასალა საქართველოს ხალხს
რომ ეკუთვნოდა, ეს იყო ცუდი!
და მასალადვე რომ ეჭამათ ის,
არ გახლდათ „ნატურ გადასახადი“!..
მაშასადამე, საკომისიოდ
გამომცემთ მისცეს კვლავ გასასყიდათ,
ამით იმათაც მადლიერს ხდიდენ
და სარგებსაც თავისთვის ელოდენ დიდათ.
მაგრამ გაჩნდა აქ ხელის შემშლელათ
ის დაწყევლილი რაღაც „რაპალო“
და მენშევიკურ შავბნელ განზრახვას,
ვით საფლავს, გულში ჩასო პალო!
ასტყდა სასჯავრო, დავიდარაბა,
დამცველ-მოწმენი, მახინაცია...
და მენშევიკებს სამართლით ერგო
სამის თითისგან კომბინაცია!..
ეს არაფერი! აიტანს კაცი.
მაგრამ სასუდო ხარჯების აზღვა
„უფულო ხალხს“ რომ დაადვეს კისრად,
ეს იყო სწორეთ უცეცხლოთ დაწვა!
და ეს „სკანდალი“ ამ „ფაქიზ კაცებს“
აგემა ამ შლუ ნიკო ჟაყელმა.
რა დარჩენია მას ამის შემდეგ?
—მოიკლას თავი მაგ სამაგელმა!..

ონისიმე

პარტიული ცხოვრება

ტფ. ახალგაზრ. კომკავშირის აღდგომის ჩატარების საერთო გეგმა

სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს (დღით)—იგივე უპარტიო მუშებში, არმიაში და ქალთა განყოფილებაში. [illegible] კლუბებში ანტი-სარწმუნოებრივი საღამოები „აღდგომის შეხვედრა“.

პარასკევს—გაზაფხულის დღესასწაული.

შაბათს 4 საათზე ახ. კომ. კავ. რაიკომებში ფართო მიტინგები პროცესია ტაძრისაკენ საღამოს 7 საათზე ტაძრიდან დაიძრება კარნავალი კარნავალის შემდეგ ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში—ინსცენირობა და ტაძრის გახსნა.

ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის ჩამტარებელი კომისია.

საქ. ახალგ. კომკავშირის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ცეკა პლენუმის დადგენილების აღსასრულებლად 1 აპრილიდან 25 აპრილამდე ს. ა. კ. კავშირის მთელ რესპუბლიკანურ მასშტაბში აღწერის გატარების შესახებ, წინადადება ეძლევა ყველა კომიტეტებს რათა შესწყვიტონ კავშირში ახალ წევრების მიღება საგანგებო განკარგულებამდე.

ს. ა. კ. კ. ცეკა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავლენა და შემცდარი მიმდინარეობანი მუშათა მოძრაობაში

1. პროლეტარული რევოლიუციის დეზერტირები.

(„მუშათა სიმართლის“ ჯგუფი).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის, ისტორიული განვითარების ამ აუცილებელი საფეხურის, გავლენას, რომელიც [illegible] რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუცია, აუცილებლად უნდა გამოეწვია მთელი რიგი შემცდარი მიმდინარეობა. მუშათა მოძრაობაში, ყველაზე უფრო მშიშარა, მერყევ, ოპორტუნისტულ ელემენტების ჩამოშორება ხოლო „გრძნობით რევოლიუციონერების“ მხრივ (რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ მორალური აღშფოთება, მაგრამ სრულიად არ შეუძლიათ წარმოიდგინონ თუ რა არის საჭირო ოქტომბრის გადატრიალების გამარჯვებით დასამთავრებლად) მთელი რიგი თაღლითობისა.

მეტად დამახასიათებელია, ის მდგომარეობა, რომ ეს, ბუნებით მშიშარა და ინტელიგენტური ჯგუფები, რომელთა გარშემო ორი-სამი კაცი თუ იყრის თავს, უსათუოდ „მემარცხენეობის“ ბრწყინვალე სამოსელში გამოდიან. საკმაოა შეხეთ ამ „სამოსელს“ და გამოჩნდება მისი მენშევიკურ-ობივატელური სტილი.

ჩვენს წინ დევს „მუშის სიმართლის“ ჯგუფის მოწოდება, ვინ იმალება ამ ჯგუფს უკან, რომელმაც გაბედულათ მოგვპარა ჩვენ თავისი სახელწოდებაც,—არ ვიცით, ჯგუფი საჭიროდ სთვლის (ასეა ნათქვამი მოწოდებაში) თავისი მუშაობის კონსპირატიულად წარმოებას. მისი პლატფორმის საერთო ტონს შეადგენს ჩვენი პარტიის კრიტიკა მარცხნიდან. მაგრამ მიუხედავით და თქვენ მაშინვე დაინახავთ მენშევიკებს და პროლეტარული რევოლიუციის მოწყენილ დეზერტირებს.

ყოველი ტაქტიკური ხაზი ეყრდნობა „მიმდინარე მომენტის“ ერთგვარ შეფასებას, დიაგნოზს.

როგორია „მუშათა (?) სიმართლის“ ეს აზრი.

მოვუსმინოთ.

„იძლევიან რა რ. კ. პ. იდეოლოგიური და სოციალური ევოლიუციის მრავალ მხრის სწორ ანალიზს, მენშევიკებს ლოგიკურად შემცდარი დასკვნები გამოყავთ ნაციონალიზაცია მოხდარ საკუთრების დაბრუნების აუცილებლობის შესახებ“ და სხვა—ასე დებს „მუშის სიმართლე“.

ქვევით ჩვენ დავინახავთ, რამდენათ შორსაა დეზერტირების „დასკვნები“ მენშევიკების დასკვნებიდან. მკითხველი დაინახავს, რომ განსხვავება „დასკვნებში“ არც ისე დიდია. ჩვენ კი ახლა გვაინტერესებს სწორეთ „ანალიზი“.

ყველა, ცოტათ თუ ბევრათ გაგებული ადამიანი გრძნობს როგორ დიდ როლს თამაშობს ჩვენი პარტია საბჭოთა რესპუბლიკების საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლიუციაში. თუ „მუშათა სიმართლის“ ანალიზი დიაგნოზი და **პროგნოზი** ჩვენი პარტიის ევოლიუციისა, **ეთანხმება** მენშევიკების დიაგნოზსა და პროგნოზს, მაშინ უდავოა, რომ ეს თანხმობა **სავსებით** ვრცელდება მთელი ჩვენი რევოლიუციის შეფასებაზეც.

ასეც არის, „მუშათა სიმართლის“ ჯგუფი **გამოაშკარავებს** თავისი სახეს რ. კ. პ. მიმართ. ჩვენ ახლა დავინახავთ, რომ ეს სოლიდარობა შეიძლება უფრო ფართოთ გავაგოთ.

ოქტომბრის რევოლიუციის **ჩვენი** შეფასება ღაღადებდა და ღაღადებს: ოქტომბრის რევოლიუცია არის რევოლიუცია **პროლეტარიატის**, რომელსაც თან მიყავს გლეხობა სოციალიზმის განხორციელებისაკენ.

მენშევიკები, ესერების, კაუცკის, შეიდემანის, ნოსკეს, ბაუერის და ოპორტუნიზმის სხვა არამზადების შეფასება კი ასეთია: ოქტომბრის გადატრიალება არის ალვირ-ახსნილი ბრბოს მოტყუებული მუშების, ჯარის და „მუჟიკების“ ბუნტი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სოციალიზმთან, რომელსაც აუცილებლად მოყვება ახალი გაიძვერა ბურჟუაზიის ბატონობა და მუშათა კლასის სრული მონობა.

ამაშია შეფასების განსხვავება პატივცემულო დეზერტირებო?

სწორია. ვერავინ ამაზე ვერ იდავებს, არ შეუძლია, რადგან ეს ფაქტია.

რას სწერს მუშათა სიმართლე?

ოქტომბრის მისამართით რამდენიმე ქათინაურის შემდეგ (გაიძვერა ინტელიგენტებს უმისოთ არ შეუძლია) პლატფორმა „აღიარებს“:

„გამარჯვებული რევოლიუციის და სამოქალაქო ომის შემდეგ რუსეთის წინაშე გაიხსნა ჩქარა მოჭარბავე კაპიტალიზმის ფართო პერსპექტივები ამაშია რევოლიუციის უდიდესი მიღწევა ოქტომბერში“.

გესმით, თქვენ, ამხანაგებო მუშებო? იმას, რასაც ჩვენი პარტია თვლის როგორც შესაძლებელ **საფრთხეს**, რომლის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ მთელი ძალ ღონით, იმას დეზერტირები თვლიან ოქტომბრის რევოლიუციის უდიდეს მიღწევათ, განა ეს ღალატი არ არის? განა ეს არ არის ბრძოლის დროს მტრის მხარეზე გადასვლა? განა ეს არ არის მუშური გადატრიალების **მენშევიკური** შეფასება? განა ეს ინტელიგენტური „გზების ცვლა“ არ არის?

რაშია ძირითადი განსხვავება „მომენტის შეფასებაში“ ერთის მხრით ჩვენს, მთელ კომინტერნსა და მეორეს მხრით იმ პარტიებს შორის, რომლებმაც მოკლეს ლიბკნეხტი? იმაში, რომ ისინი ხედავენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფრთხეს, ჩვენ კი ვერ ვხედავთ?

არა ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვხედავთ ყველა საფრთხეს, ფხიზლათ ვაფასებთ მდგომარეობას და მტკიცედ და ფრთხილათ მიგვყავს მუშათა კლასი და მასთან გლეხობა ვიწრო ბილიკებით ახალ ბურჟუაზიაზე **გამარჯვებისაკენ**.

მენშევიკები და მათი კომპანია კი ამახინჯებენ რა სინამდვილეს, გაჰყვირიან კომუნიზმის კრახზე, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, სტყუიან და ცილს წამებენ საბჭოთა რუსეთს, ამტკიცებენ თითქო ჩვენში დიდი ხანია **რაც არის** მუშური მთავრობა, რომ ჩვენ ხორტიზე უარესი ვართ, რომ ჩვენი პარტია იცავს ბურჟუაზიის ინტერესებს, ჩაგრავს მუშებს და სხვა.

შეხედეთ „მუშათა სიმართლეს“. ეს ხომ ნოსკეს და კაუცკის ტყუპია.

შეხედეთ. ჩვენი ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა კი არ არის, არამედ „ექსპლოატაციისა და თვითნებობის“. ჩვენი ამხანაგები კი (დატანჯულები 18 საათის მუშაობით დღედაღამეში)—„ახალი ბურჟუაზია“, რომელიც „ნეპმანებთან“ ერთად განცხრომით ცხოვრობს და სხვა. სირცხვილია ამ ლაყბობის უარყოფა. რომ აქა იქ ჩვენ ვხედავთ გადაგვარების საშიშ სიმპტომებს, ის უთქვენოდაც ვიცით ბატონებო. **ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ ამის წინააღმდეგ.** მაგრამ, როცა საქმე ეხება იმას, თითქო ობუხოვის, პუტილოვის, ივანოვო ვოზნესენსკის და მოსკოვის საბჭოთა ფედერაციის მთელს ტერიტორიაზე გაფანტული მუშები, რომლებიც მართავენ ჩვენს ქვეყანას და გმირულათ გადააქვთ მუშაობის მთელი სიმძიმე, თითქო ისინი არის „ახალი ბურჟუაზია“ და კიდევ მეტი,—„ფუფუნებით მცხოვრებნი“—მაშინ შეიძლება ვთქვათ: აქვს საზღვარი მოღალატეობას და სიცრუეს! თუ გინდ დეზერტირებისათვისაც!

ეს ბურჟუაზიულ-მენშევიკური კარიკატურა საბჭოთა რუსეთზე თანდათანობით გატარებულია მთელ პლატფორმაში. ჩვენ, სხვათაშორის ვიგებთ, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ასე სძულს ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას, არის **„კაპიტალის საერთო ნაციონალური ინტერესების წარმომადგენელი“**, რომ ჩვენი პოლიტიკის გამომრკვევი მომენტი არის **„რუსეთში გაბატონებული ბურჟუაზიული ჯგუფების კლასობრივი ინტერესები“** და სხვა. ამას იქით წასვლა შეუძლებელია. ეს პირდაპირ სასაცილოა. სიცილი კი, როგორც ამბობენ ფრანგები, კლავს ადამიანს.

მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილოა, როცა მოწოდება იწყებს ლაპარაკს იმაზე, როგორ **„სამუდამოთ კარგავს კავშირს და ერთობას პროლეტარიატთან“** ჩვენი პარტია. ეს ახლა, როცა ყოველგან ჩვენი პარტიისკენ პირს იბრუნებენ პროლეტარიატის ფართო წრეები! მართალია, ამაზე შეიძლება თქვა, რომ მოწოდება დიდი ხნის წინეთ არის დაწერილი, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს მის სასაცილო მხარეს. რა საუცხოო წინასწარმეტყველები და ჭკვიანი არიან ეს ვაჟბატონები „მუშათა სიმართლიდან“!

ახლა კი რამდენიმე სიტყვა „დასკვნებზე“.

მენშევიკების საერთო „დასკვნა“: პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

„მუშის სიმართლის“ საერთო დასკვნა: [illegible] მოძრაობაში ეკონომიზმის სტიქიური ზრდა (ე. ი. გაფიცვების მხარის დაჭერა) **და მისი გადაყვანა საბჭოთა ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ბრძოლის რელსებზე.** რისთვისაც საჭიროა ცალკე პოლიტიკური პარტია.

მენშევიკების „საერთო“ დასკვნა: რუსეთში მუშათა კლასს არ შეუძლია სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, მან ძალაუფლება უნდა დაუთმოს ბურჟუაზიას.

მუშის სიმართლის საერთო დასკვნა: „კომუნისტური პარტია დაშორდა მუშათა კლასს. მაგრამ **მხოლოდ** მას შეუძლია ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მუშათა კლასს არ შეუძლია რესპუბლიკის მართვა.

მენშევიკების საერთო დასკვნა: საჭიროა ბრძოლა კომუნისტურ უტოპიებთან.

„მ. ს.“ საერთო დასკვნა: „მტკიცეა ჯერ კომუნისტური ფეტიშები (და სიცოცხლის უნარი აქვთ) (ნ. ბ.), მაგრამ მოწინავე უპარტიო მუშებში და რ. კ. პ. კლასობრივათ მოაზროვნე ელემენტების კლასობრივი აქტივობის ზრდა (აი სად უკუღმენებენ, ნ. ბ.) ქმნიან წინასწარ პირობას რუსეთის პროლეტარიატის პარტიის შესაქმნელათ“. სხვა სიტყვებით: საჭიროა ბრძოლა კომუნისტურ უტოპიებთან.

მენშევიკების საერთო დასკვნა: ბრძოლა დემოკრატიისათვის რ. კ. პ. დიქტატურის წინააღმდეგ.

„მ. ს.“ საერთო დასკვნა: „კაპიტალისტურ პირობებში (ნუ დავივიწყებთ, რომ „მ. ს.“ სხვა პირობები რუსეთში არა აქვს. ნ. ბ.) მუშათა კლასი ბუნებრივათ იბრძვის **დემოკრატიისათვის** (ხაზი პლატფორმის ავტორებისაა, ნ. ბ.) თითქმის „მხოლოთ მშრომელთათვის საარჩევნო უფლებების მინიჭების და ამ უფლებების გამოყენების თავისუფლების ფეტიშის „წინააღმდეგ ბრძოლამდი“, ე. ი. პროლეტარული დიქტატურის ძირითად პრინციპების წინააღმდეგ.

პლატფორმაში **ერთი სიტყვაც არ არის კომინტერნზე.** პლატფორმაში ძლიერ რბილათ არის ნახსენები ესერები და მენშევიკები, **მათთან ბრძოლის შესახებ კი არც ერთი სიტყვა!** ყოფ. მუშათა ოპოზიციაზე ნათქვამია, რომ ის, „ობიექტიურათ რეაქციონურია“, მაგრამ ვაჟბატონები „მ. ს.“-ს მზად არიან ისიც გამოიყენონ ჩვენი პარტიის გასახრწნელად.

როგორ მოგწონთ ეს „მუშური“ პლატფორმა?

შეიძლება მკითხველმა იკითხოს: რათ ხარჯავთ ამდენ სიტყვებს დეზერტირების ჯგუფის შესახებ? მათ ზურგს უკან ხომ არავინ არის? რომ მათ უკან არავინ არის—ამაში იჭვი არ გვეპარება, მაგრამ აი საქმე რაშია.

ჩვენ ვიმყოფებით ბურჟუაზიულ სტიქიასთან შეურიგებელ უსისხლო, გაამწვავებული ბრძოლის პროცესში. ჩვენ ამ სტიქიას დავამარცხებთ და ავლაგმავთ. მაგრამ მის დასამარცხებლათ, საფრთხის დასაძლევათ (ეს საფრთხე კი, ლაპარაკი მეტია, ძლიერ დიდია) საჭიროა, ჩვენ სასტიკი პასუხი გავცეთ ყოველგვარ წუწუნს, სენტიმენტალობას, გამლეტიზმს, „კეთილშობილურ“ ინტელიგენტურ დეზერტირობას და სხვა ამგვარ **გახრწნას**, აი რათ ვლაპარაკობთ ჩვენ პლატფორმაზე, რომლის ავტორები შევლენ ისტორიაში, როგორც; დეზერტირები, დეზერტირები და კიდევ დეზერტირები.

2 კომუნისტური ლიბერალები.

„მუშის სიმართლის“ პლატფორმა დაწერილია არა პარტიის წევრების მიერ, მაგრამ პარტიის ეს აშკარა **მტრები** სპეკულიაციას ეწევიან იმაზე, რომ თვით ჩვენ პარტიაში ზოგიერთი ჯგუფები ერთგვარ მერყეობას იჩენენ.

რომ ეს სიმართლეა, საკმაო ნათლათ გვიჩვენებს ანონიმური, ხელმოუწერი ყრილობის წინა პლატფორმა, რომლის სტილი, მთავარი იდეები ბევრათ მოგვაგონებს ე. წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ჯგუფს იდეოლოგიას.

პირველ ყოვლისა რამდენიმე სიტყვა ანონიმობის შესახებ. ამ პლატფორმაში პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბრალს დებენ „არალეგალური, ანონიმური ლიტერატურის არსებობაში—რაც პარტიის ხელმძღვანელობისათვის, რომლებმაც პარტიის მეათე ყრილობაზე ფარისევლურათ გამოაცხადეს პარტიის შიგნით დემოკრატიის პრინციპები, მეტად სასირცხოა“. ჩვენ მენშევიკური და ესერების ლიტერატურის გარდა, ვიცნობთ შემდეგ არალეგალურ, ანონიმურ დოკუმენტებს: კოლექტივისტების ძველი პლატფორმა, რომელსაც ახლა სავსებით იყენებს „მ ს.“ ჯგუფი—ეს არის უპარტიო ხალხის დოკუმენტი. და შემდეგ მართლა სასირცხო მოვლენა არა ც. კომიტეტისათვის, არამედ მშიშარა და დამფრთხალი ამხანაგ-მოხელეებისათვის—ანონიმური „პლატფორმა ც. კომიტეტი „პრავდასთან“ სცემს სადისკუსიო ფურცელს. ყველაფერი, რაც სწერია პლატფორმაში, მშვენივრათ შეიძლებოდა მოთავსებულიყო ამ ფურცელში, მაგრამ ასეთია ყოველგვარი ლიბერალიზმის სიმხდალე რომ ის გულმაგარი მხოლოდ თავის გუნებაშია.

აი, თქვენ გაბედულო ლიბერალო მომხრეებო დემოკრატიულ რეფორმების! აი, კომუნისტური კურდღლებო, რომლებიც თავს ესხმიან **პირებს** (პლატფორმაში კამპანიას ეწევიან **პირების წინააღმდეგ**—ამისთვის არის მოგონილი მთელი ეს „თეორია“) იმალებიან ჩირგვებში და ეშინიათ თავისი სახის გამომჟღავნება!

მაგრამ გადავიდეთ საქმის ვითარებაზე.

ყოველგვარი პლატფორმის, რომელიც სახელმწიფოში და პარტიაში საერთო მდგომარეობის შეფასებაზე ერთგვარ პრეტენზიებს აცხადებს, არ შეუძლია, ვერ გაბედავს და უფლება არა აქვს გვერდი აუაროს ჩვენი რევოლიუციის **ძირითად კითხვას:** გლეხობასა და მუშათა კლასს შორის დამყარებული ურთიერთობის შესახებ. თუ გინდ პარტიის შიგნითა თვალსაზრისით ეს საკითხი უნდა შეიქნეს საერთო ჩარჩოთ, მაგრამ როგორც შეეფერება ოპოზიციის მოხელეებს, ეს კითხვა გამოტოვებულია, მასზე არც ერთი ხმა, არც ერთი სიტყვა.

პლატფორმის თეორეტიულ საფუძველს შეადგენს ანალიზი პარტიის **გადაგვარებისათვის** საშიში ტენდენციებისა, რომლებიც აჯანსაღებენ პარტიას და აბათილებენ პირველების გავლენას. ბევრი, აქ თქმული, სიმართლეა, თუმცა ზოგიერთი ადგილებს აშკარა ცილისწამების ხასიათი აქვს (მაგალითად, როცა ლაპარაკია პარტიის მასებიდან მოწყვეტაზე. აშკარად ჩანს ხალხი, რომელთაც წლობით არ უნახავთ არც პარტია და არც მასები).

მიუხედავად იმისა, რომ პლატფორმაში თქმულიდან მეტი რამ მართალია, მას მხედველობიდან გამოპარული აქვს მთავარი რამ და ამიტომ გამოყავს დასკვნები, რომლებიც თმებით მიათრევენ ჩვენს პარტიას ბურჟუაზიულ წუმპეში, რომლისაც ასე ეშინიათ პლატფორმის ავტორებს.

რა საფრთხე მოგველის ჩვენ უფრ ჩვენი გადაგვარება. როგორ არ შესაძლებელი ეს გადაგვარება.

ამ უკანასკნელ კითხვაზე ჩვენ უნდა ვუპასუხოთ:

ან საბჭოთა სახელმწიფოებრი აპარატი სულ უფრო და უფრო უნდ ჩამოშორდეს პარტიულ ხელმძღვანელობას, ამასთანავე მისი ცალიერი ადგილები თანდათან უნდა შეივსონ არა ჩვენი თანამოაზრე სპეცებით და ამგვარად ამ აპარატის რეალური ბერკეტები გაგვისხლტება ხელიდან; ან ჩვენი პარტია სულ უფრო და უფრო უნდა გაივსოს რევოლიუციისათვის სრულიად უცხო ან გულგრილად განწყობილ, მაგრამ ტექნიკურად კომპეტენტურ ელემენტებით, რომლებიც ჩვენი კულტურულად ჩამორჩენილობის და ტექნიკურ კვალიფიციურ მუშაკთა ნაკლებოვანების გამო—ფაქტიურად გახდებიან პარტიის ხელმძღვანელებით; ან გახდება ერთიც და მეორეც.

რომ პირველ ხანებში ჩვენ, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავ ამხ ლენინი,—უნდა ვაკეთოთ საქმე სხვისი ხელებით, ეს უდავოა, მაგრამ ეს რომ დიდ საფრთხესთანა დაკავშირებული—ისეც ცხადია.

აქედან გამაფრთხილებელი საშუალებანი.

როგორია ეს საშუალებანი?

საბჭოთა აპარატში პარტიულ ხელმძღვანელობის შენარჩუნება და განმტკიცება. განათლება, სწავლა, კომუნისტების ტექნიკური მომზადება, წითელი სპეცების კადრის შექმნა მათი საშუალებით ყველა დარგებში პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერება და მთელი აპარატის თანდათანობითი ხელში ჩაგდება. პარტიის სოციალურ შემადგენლობისადმი ყურადღებით მოპყრობა და პარტიიდან სოციალურად უცხო ელემენტების პერიოდულად განდევნა, იმ ელემენტების, რომლებიც კომუნისტურად არ არიან მონათლულნი საქმეში, ბრძოლაში და მუშაობაში.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამომაცხადებინოთ შემდეგი.

1906 წლიდან ვიდრე 1921 წლამდი მე მეკუთვნია ს.-დემოკრატიულ პარტიაში. ამ დროს განმავლობაში მე ვაკვირდებოდი პარტიის მუშაობას სხვა და სხვა მომენტებში და უნდა აღვნიშნო, რომ მის მუშაობაში იყვნენ დეფექტები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს საზარალო დარჩნენ მუშათა კლასისათვის. მუშათა კლასის იდეალები ხშირათ იჩრდილებოდა 1905 წლის რევოლიუციისა და განსაკუთრებით მის შემდეგ მომენტებში. ბურჟუაზიულ-ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმებამ ვერავითარი დადებითი შედეგი მუშათა კლასისათვის ვერ გამოიღო, გარდა იმისა, რომ კლასთა ბრძოლა შეფერხდა, იმის მაგივრათ, რომ მუშათა პარტიას მის გაღვივებისათვის ხელი შეეწყო.

ეს ნაკლი პარტიისა საბედისწერო შეიქნა თვითმპყრობელობის დანგრევის შემდეგაც. ბურჟუაზია დღეს კონტრრევოლიუციონურია და მას, თუ ნდაც უკიდურეს რადიკალურ პარტიასთან თანამშრომლობა, მხოლოდ შეთანხმების ილიუზიებს ბადებს და, ცხადია, საზიანოა მუშათა კლასისათვის.

ამით აიხსნება მენშევიკური პარტიის დამარცხება რუსეთში და პოლიტიკურ ასპარეზზე პროლეტარიატის გამოსვლა დარაზმულად ერთის მთლიანი კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

საქართველოში მე მის გასაბჭოების შემდეგ საშუალება მქონდა თვალყური მედევნებია კომუნისტურ პარტიის მუშაობისათვის და საჯაროთ უნდა ვაღიარო, რომ იგი მუშათა კლასის ინტერესებს ემსახურება. სამაგალითოა მისი დისციპლინა და მთლიანობა.

ჩვენი ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში, რამდენადაც მე ვიცი, ბევრი რამ არის გაკეთებული და კეთდება. კერძოდ სკოლის საკითხში მე თავიდანვე ვიზიარებდი საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ შრომის პრინციპებს სკოლისა და პრაქტიკულად ვახორციელებდი მათ. ეს მოსაზრებანი მაიძულებენ მე განვაცხადო, რომ ამიერიდან ვტოვებ ს.-დ. პარტიის რიგებს და ვდგევარ ყოველივე პარტიის გარეშე.

სიტყვით, საქმით, როგორც მოქალაქე, როგორც პედაგოგი და როგორც მწერალი მე ხელს შევუწყობ საბჭოთა სისტემის განმტკიცებას მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს საბჭოთა მთავრობის ყოველ ნაბიჯს, კერძოდ იმ დარგში რომელშიაც მე, როგორც პედაგოგი, ვმუშაობ, მთელის ჩემი ენერგიით დავუჭირო მხარი.

ვფიქრობ, რომ ეს არის გზა სწორი და პირდაპირი, გზა რევოლიუციონური, რომლითაც მხოლოდ შეიძლება სოციალიზმის დიად იდეალებას მიღწევა.

ამ გზის წინააღმდეგ გადადგმული ყოველი ნაბიჯი იქნებოდა სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მუშათა კლასის ინტერესების ღალატი.

ამ სწორი გზით სიარულისაკენ მე მოუწოდებ ყველას, ვისაც სოციალიზმისა და მუშათა კლასის ინტერესებისათვის სამსახური დაუსახავს მიზნად. ყოველი ასეთი მოქალაქე ვალდებულია გზა აუხვიოს მენშევიკ—კონტრრევოლიუციონერებს და გვერდში ამოუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას.

მიხა კინწურაშვილი
(იახამანი)

1923 წ. 31 მარტი
ქ. თფილისი

ქრონიკა

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **აბასთუმანში ელექტრო-სადგურის აგება.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა აბასთუმანში ელექტრონის სადგურის ასაგებათ.

— **დასასვენებელი სახლები მუშებისათვის.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს მუშების დასასვენებლად გადასცა ორი დიდი სახლი აბასთუმანში.

ქალაქის აღმასკომში

— **ავტომობილების და მოტოციკლეტების შესახებ.** მცირე პრეზიდიუმმა შემდეგი ცვლილება შეიტანა საფინანსო განყოფილების ავტომობილების და მოტოციკლეტების შესახებ დადგენილებაში: 1) პირველი კატეგორიის ავტომობილებს და მოტოციკლეტებს მიეცას თეთრი, ხოლო მეორე კატეგორიისას წითელი ნომრები. 2) წლიური გადასახადი ავტომობილებისა და მოტოციკლეტებზე დაწესდეს 2 მან. ოქროთი ძალაზე, გარდა სამხედრო ავტომობილ-მოტოციკლეტებისა, რომლებიც სრულებით განთავისუფლებული არიან გადასახადისაგან.

— **წითელ ფლოტის სასარგებლოთ.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა განთავისუფლებული იქნეს ახალგაზრდათა კომკავშირის მე-2 რაიკომის მიერ მე-16 ტექნიკუმში წითელი ფლოტის სასარგებლოთ გამართული საღამო 5 პროცენტიანი გადასახადისაგან.

განათლების კომისარიატში.

— **სტიპენდიების დანიშვნა სტუდენტებს.** განათლების სახ. კომისარიატმა დაადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო, პოლიტეხნიკურ, აგრონომიულ, სოციალ-ეკონომიურ და პედაგოგიურ ფაკულტეტების სტუდენტებს დაენიშნოს სტიპენდია ათი მანეთი ოქროთი ყოველთვიურათ რიცხვით 129 კაცს.

— **ბრმათა სკოლა.** ამჟამათ ბრმათა სკოლაში ირიცხება 38 ბრმა მოწაფე ორივე სქესის. მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე. ხელსაქმის სწავლების გარდა იმართება მოხსენებები, საღამო-კონცერტები. გამოწერილია ყველა ადგ. გაზეთები, რომელთაც უკითხავენ მოწაფეებს. მარტის განმავლობაში დამზადებულ იქნა—კალათები, ჩოთქები და სხვა ნივთები 28 805 000 მანეთის.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **ტყეების მოწესრიგება.** წესიერ სატყეო პოლიტიკის წარმოების მიზნით მიწადმოქმედების კომისარიატის სატყეო საბჭომ დაადგინა აწერილ და ცნობაში მოყვანილ იქნას რესპუბლიკის ყველა ტყეები. ამ მიზნით ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ტყეებში უნდა გაიგზავნოს მიწის მზომელები და სატყეო ტეხნიკები ტყეების საზღვრების დასაწესრიგებლად. ეს მუშაობა დამთავრებულ უნდა იქნეს პირველ მაისამდე.

— **სატყეოების რევიზია.** საბჭომ დაადგინა ყველა სატყეოების რევიზია ხდებოდეს ორ წელში ერთხელ.

— **შეშის დამზადება.** 1923—1924 წლისათვის პრინციპიალურად მიღებულია მიწადმოქმედების კომისარიატისათვის შეშის დამზადება იკისროს სატყეო განყოფილებამ.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** სასახლის ქუჩაზე № 3 ბოროტ მოქმედებმა გასტეხეს გრიგოლ გელაზიანის ფეხსაცმელების მაღაზია, საიდანაც წაიღეს 500 წყვილი სხვა და სხვა ზომის ფეხსაცმელი 2 მილიარდ 400 მილიონ მანეთის ღირებული.

— **მკვლელობა.** 1 აპრილს, საღამოს 10 საათზე ყაზბეგის ქ. № 13 ბოროტ გამზრახველებმა მოჰკლეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მისაბიშვილი მიხეილ (კალე) მოკლულის გვამი გაგზავნილია მიხეილის საავადმყოფოში: ძიება სწარმოებს.

მუშათა ცხოვრება

როგორ მოვტყუვდი?!

(მუშის ნაამბობი).

ოჰ, ნუღარ მტანჯავ შენ მოგონებავ!
არ გამახსენო ჩემი წარსული,
როს ჯოჯოხეთში ამოვყავ თავი
და ჩემ სულს ფლობდა ქაჯი, ავსული!

იმ დროს, როდესაც ჩემი სიცოცხლე
„სამოთხის წალკოტს“ ეკვრებოდა,
მე კი მიმქონდა, მაგრამ ის თურმე
მტარვალთ სამკაროს ეწირებოდა.

როდესაც ჩემი სუსტად მნათობი
მცირედი შუქიც ბჟუტვით ქრებოდა,
ჩემი გრძნობები „ღმერთმან“ ბარბაცით
ლამაზ ოცნების ზღვაში თვრებოდა...

მე მუშა ვიყავ და ჩემის ხელით
ჩემთვის მონობის ბორკილს ვჭედავდი.
და განა წუთით გავიდნენ წლები,
როგორ დავბრმავდი, რომ ვერ ვხედავდი?!

და დღეს კი, როცა ქრება წყვდიადი,
სიმართლის სხივმა გამოანათა,
მე მშრომელთ ოჯახს გზა დაკარგულმა
ისევ მივაგენ. გაუხდი ძმათა.

მაგრამ დაკარგულ დროთა აღდგენის
მოვალეობა ვალად მკიდია.
ვაჰ, თუ ვერ შევძლო დავიგვიანეთ
ის ჩემ ძალაზე ახლა დიდია!..

შენ ფიქრობ, მე ხომ სხვამ მომატყუა,
ჩემი შეცდომა მას დავაბრალო?
მაგრამ ხომ ვრჩები მოტყუებული.
ისევ უმწეო, ისევ საბრალო?

განა იმისთვის ვწვავდი სიცოცხლეს
თავისუფლების რწმენის ალმაგში,
რომ როდის იგი თვალით მეხილა
სარცხვილის ალი ალქაზნოდა გულში?!

მაგრამ რას ვიზამ, რაც მოხდა მიზე
ამაო არის ახლა გოდება.
ბრძოლით აღვადგენ დაკარგულ პატივს
იქით მიმიხმობს მე მოწოდება!!.

მუშა ბალიაშვილი.

ფრთხილად მოვეკიდოთ მუშათა პრესას.

(„კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების რეზოლიუცია).

„კვირას შემდგარი გაზ. „კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების კრება, შეეხო რა სხვა საკითხებს შორის გაზ. „ზაკავკასკი გუდოკ“-ში მოთავსებულ მოქ. სიაინსკის „ნაწარმოებს“ და ამის გამო ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს მიერ მიღებულ დადგენილებას, ერთხმათ უერთდება ამ დადგენილებას და თავის მხრივ სასტიკათ ჰგმობს მუშათა პრესაში პორნოგრაფიულ ნაწარმოების მოთავსებას. ასეთ ავტორებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენ პრესაში“.

მუშკოოპის დუქანი № 9.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის დუქანი № 9 ქალაქის აღმასკომის შენობის ქვედა სართულშია მოთავსებული და, როგორც ცენტრში მდებარე, გარდა ნამდვილ წევრებისა, დიდ ძალ სხვა მუშტრებსაც იზიდავს. დუქნის მუშაობა იწყება დილის 9 საათიდან და წესით უნდა თავდებოდეს 5 საათზე, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, რომ მუშებს ამ დროისთვის საქმის დასრულება მოესწრათ. ამის მიზეზი არის მუშტრების მეტისმეტი სიმრავლე.

შემდეგ ნოქრებს ევალებათ დუქნის დაგვა, დასუფთავება და საერთოდ მისი წესრიგში მოყვანა, რასაც ნახევარი და ზოგჯერ კი ერთი საათიც სჭირდება, ასე რომ დილის 9 საათიდ 5 საღამოს შვიდ-რვა საათამდე მუშები თავს ვერ ითავისუფლებენ და ამ ხნის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობენ. დუქანს არ ჰყავს თავისი დამგველი და მის მოვალეობას ნოქრები რიგ-რიგობით ასრულებენ. ეს გარემოება კი საქმეს მეტად აბრკოლებს იმ მხრივ, რომ მუშები თავის პირდაპირ მოვალეობას ველარ ასრულებენ დროით. ნოქრებს უხდებათ აგრეთვე დიდი, მძიმე საქონლის გადმოტვირთვა და საწყობში დალაგება. ეს არ შეადგენს მათ მოვალეობას. ამ დანიშნულებისთვისაც აუცილებლად საჭიროა ერთი ფიზიკურად მომუშავის დაქირავება.

აქაური მუშები განსაზღვრულ დროზე მეტს მუშაობენ ყოველდღე, რისთვისაც ისინი არავითარ ზედმეტ გასამრჯელოს არ ღებულობენ,

გარდა ამისა მუშების გამოსაცვლელი სამუშაო ტანსაცმელი არ გააჩნიათ, დუქანში წყალი არ მოდის, მას არა აქვს არც კლოზეტი, რაც დიდად დამაბრკოლებელია. მუშაობის დროს მუშებს არც განსაკუთრებული ადგილი მოეპოვება, სადაც მათ საუზმის და სადილის ჭამა შეეძლოთ. აღნიშნულ დუქანში ნორმალური მდგომარეობის დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა: 1) დაცვა-ნორმალურ და დაკანონებულ სამუშაო დროის; 2) მომუშავეთა რიცხვის გადიდება ერთი ფიზიკურად მომუშავით, რომელიც დამგველის როლსაც შეასრულებს. მასთან ყველა სანიტარული დეფექტები უნდა იქნას საჩქაროდ გამოსწორებული.

ინფ.-კორ. უცხო.

დაწესებულება თუ საინვალიდო სახლი?!

ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთში უკვე გამოქვეყნებული იყო, რომ რკინის გზის სამმართველოს ზოგიერთი განყოფილება გადაქცეულა საქველმოქმედო სახლად, სადაც დახელოვნებული სპეცადმინისტრატორები ინახავენ თავიანთ ძველ, მოხუც მონარქისტ თანამშრომლებს, შრომის უნარ დაკარგულ ინვალიდებს.

ამ გვარი მაგალითს აქვს ადგილი აგრეთვე მოძრაობის სამსახურის მეორე განყოფილებაშიც. თვით განყოფილების გამგე ძველი მონარქისტია და ხნით მოხუცი, მას, ჰყავს კიდევ ორი თანაშემწე ერთი მათგანი სატარიფო ქსელში ირიცხება უმაღლეს ხარისხის შეფასებით, მეორე კი იღებს გასამრჯელოს „სპეც-განაკვეთის“ მიხედვით თვეში არა ნაკლებ 40 მილიონ მანეთისა და საქმით არაფერს აკეთებს. ეს უკანასკნელი ძალიან მოხუცებულია და ძლივსღა დადის, მასვე სრულებით აკლია ყურთასმენა და თვალების სისუსტეც სჭირს.

გვინდა გავიგოთ, ვრცელდება თუ არა „სპეც-მოხუცებულებზე“ არსებული კანონი, რომლის ძალით საქმიმო-საკონტროლო კომისიას ევალება გამოარკვიოს და შეამოწმოს შრომის უნარიანობა ამა თუ იმ მოსამსახურისა, თუ აღნიშნული კანონი გამოცემულია მხოლოდ რკ. გზ. ხაზების აგენტების სამსახურიდან განსადევნად. მართალია, ეს უკანასკნელები უმეტესად მუშები და დაბალი დარგის მოსამსახურენი არიან და ჩვენი „სპეც-ადმინისტრატორებს“ მათი დათხოვნა-მიღება არაფრად არ მიაჩნიათ, მაგრამ ჩვენ მაინც მიგვაჩნია საჭიროდ ყოველ შემთხვევაში [illegible] რკინის გზის სამმართველომ, თუ საქმიმო-საკონტროლო კომისიის კომპეტენცია არ ვრცელდება შრომის უნარ დაკარგულ სპეცებზე, რათა ამით „დასაბუთებულ“ იქნას მშრომელ ხალხის ფულის უნაყოფოდ გაფლანგვა.

ინფ.—კორ.—გ—ძე.

მუშათა ქრონიკა.

მუშა-კორესპონდენტების კრება.

—მიმდინარე წლის 1 აპრილს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში შესდგა მუშა-კორესპონდენტების მე-4 კრება, რომელზედაც ამხ. ამხ. კორესპონდენტებს ხელმძღვანელებმა გააცნეს გაზეთის სხვა და სხვა განყოფილების მიზანი, მათი ადგილი თვით გაზეთში, შინაარსი და ფორმა აღნიშნულ განყოფილებებში მოსათავსებელ წერილებისა და სხვა, რის შემდეგ ამხ. კორესპონდენტებს დაურიგდათ სახლში დასამუშავებლად ზოგიერთი ამორჩეული თემები და თითო ცალი გაზ. „კომუნისტი“-ისა.

მე-2 რაიონის შრომის ინსპექციის მუშაობის განახლება.

—ამა წლის 2 აპრილიდან მეორე რაიონის შრომის ინსპექტორი ამხ. ჯაგინოვი, ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ, უკვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.—ამხ. ჯაგინოვი პირველად დაათვალიერებს ხე-ტყის ქარხანებს, შემდეგ ლითონის განყოფილების სახელოსნოებს და სხვებს.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თფილისში.

(2 აპრილი)

ოქროს 10 მ.	— —	6 675	ათ.
გირ. სტერლ.	— —	4000	„
დოლარი	— —	900	„
ლირა	— —	6.90	„
საბჭ. ფულ. ნიშ.	— —	16.	„

ვალიუტის კურსი ბათომში.

(31 მარტი)

ლირა	— —	665	ათ.
ოქროს 10 მან.	—	6251	„
გირ. სტერ.	—	4.655	„
დოლარი	— —	979	„
საბ. ფულ. ნიშ.	—	16.	„

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება

საბარგო ავტომობილი. ტყვიბულის ნახშირი სამი ვაგონი. თუნუქი. ლაფაჩები. შაქარი. სკიპიდარი. თაფლი. გადადუღებული ერბო. მარილი. რეზინის ნაწარმოები. მანუფაქტურა. ჭერამი. რკინა. საბზა. მატყლი. ბამბა. პრობკები. ლურსმები. ფოთოლი თამბაქო. ამერიკული ფქვილი. 2000 ტომარა. პერ. კრუპა. ფანჯრის მინები. ტექნიკური [illegible] ტყავეულობის სინდიკატის ნაწარმოები. ამერიკული სპირტი 95 გრად.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი რუსული. შაქარი რაფინადი. გოგირდი. შაბიამანი. რუსული მანუფაქტურა. პრობკები. მატყლი. ქერი. სიმინდი. ხორბალი. სოდა. ამერიკული ფქვილი. ასანთი. თხილი. ყუბანის ფქვილი 1 ხარისხის ფქვილი „კრუპჩატკა“ სპირტი. თუნუქი. ბამბა. ჯაგარი. ფანჯრის მინები. საშენი ლურსმები. ნედლი ტყავები.

ოფიციალური გარიგება,

ბირჟაზე მოხდა გარიგება რუსულ ბამბის მანუფაქტურაზე პრეისკურანტის ფასით და ამერიკულ სპირტზე—11 მან. ვედრო.

განწყობილება საქონლის ბაზარზე

(2 აპრილი)

განწყობილება ცვალებადია. მარცვლეულის და პურის პროდუქტის ბაზარზე ცვლილება არ მომხდარა. შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. მანუფაქტურის — იგივეა. ნედლი მასალის ბაზარზე ცვლილება არ მომხდარა. საერთოდ მიწოდება აღემატება მოთხოვნილებას.

საქონლის ბაზრის ფასები.

(ბითუმად)

ხორბალი ყუბ.—450—470 ადგილობრივი—380—420—ფქვილი „კუპჩატკა“—1.500. სიმინდი—230 ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—1250—1300. ადგილობრივი ფქვილი—520—540 შაქარი რაფინადი—700. კარაქი 1 ხარ.—16000. გადადუღებული ერბო—900 9200 თუშური ყველი—4800—5500.

ხელოვნება

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ოპერეტა „ნატვრის თვალი“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **ოვანეს თუმანიანის ლექსები ქართულად.** ახლო ხანში გამოვა სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის ლექსების კრებული ქართულად. წიგნში მოთავსებული იქნება საუკეთესო ლექსები და დართული ექნება განსვენებულის ბიოგრაფია.

— **მუშათა კლუბთან არსებული დრამატიული სტუდია.** მუშათა კლუბთან არსებული დრამატიული სტუდია სამხატვრო კომისიის დადგენილებით, შეუდგა გაფართოებულ მუშაობას. უმთავრეს დ პროგრამისა და ორგანიზაციის მხრივ. სტუდიის ხელმძღვანელათ მიწვეულია მსახიობი პ. სოკოლოვი.

— **საბავშო თეატრი.** სწარმოებს დაჩქარებული საორგანიზაციო მუშაობა საბავშო თეატრის—წარმოდგენების დასაწყებათ. რეპერტუარი უმთავრესად შესდგება სარევოლიუციო და აღმზრდელობითი ხასიათის პიესებისაგან, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ოთხ ენაზე: ქართულზე, რუსულზე, სომხურზე და თურქულზე.

— **ნაძალადევის თეატრი.** ნაძალადევის თეატრის დრამატიული წრე შესდგება მხოლოდ რკინის გზის მუშებისაგან. მიმდინარე სეზონში წარმოდგენილი იქნა უმთავრესად რევოლიუციონური პიესები. კვირაში მოდის ორი წარმოდგენა უფასოთ, რომლებსაც ესწრება აურაცხელი ხალხი.

წითელ ჯარში

ქართული დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალის სესიის გამგზავრება

დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალის სესია ამ წ 8 აპრილს გაემგზავრება ქ.ქ. ქუთაისში და ბათომში საქმეების გასარჩევად.

1. ქუთაისში გაირჩევა შემდეგი საქმეები:

1) მცველ-მხლებელთა ათასეულის წითელ არმ სერაფიონ ბრეგვაძის, ავქსენტი მელქაძის და ბიქტორ დარასელიასი, რომელთაც ბრალი ედებათ დეზერტირობაში. 2) იმავე ათასეულის წითელ არმ. ირაკლი ძნელაძის, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში. 3) საარტილერიო საწყობის გამგის გიორგი ყვავაძის და ამავე საწყობის ზედამხედველის კონსტანტინე კაშიასი, რომელთაც ბრალი ედებათ სისტემატიურად საწყობიდან სახაზინო ვაზნების მითვისებაში და სამსახურის მოვალეობის დაუდევრად ასრულებაში. 4) მცველ მხლებელთა ათასეულის წითელ არმ. ვლადიმერ ქანტურიასი, რომელსაც ბრალი ედება მის ხელქვეით მოსამსახურის მიმართ მოქმედებით შეურაცხყოფის მიყენებაში. 5) ამავე ათასეულის წითელ არმ. ტერენტი თირქიასი, ირაკლი პორტახიასი და კონდრატი შამათავასი, რომელთაც ბრალი ედებათ დეზერტირობაში და სახაზინო ნივთების გაფლანგვაში.

2. ქ. ბათომში გაირჩევა:

1) მე 2 ლეგიონის წითელ არმ. არგონაიძის და თევდორე ქავთარაძის, რომელთაც ბრალი ედებათ სამსახურის მოვალეობის დაუდევრად ასრულებაში. 2) ამავე ლეგიონის წითელ არმ. ივანე კევლიშვილისა, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში. 3) ამავე ლეგიონის წითელ არმ. პეტრე გორგოძისა, რომელსაც ბრალი ედება სახაზინო ნივთების მოპარვაში. 4) ამავე ლეგიონის მეთაურის ივანე ქარსელაძისა, რომელსაც ბრალი ედება მოქმედებითი შეურაცხყოფის მიყენებაში.

პროფკავშირებში

საქ. პროფკავშირთა საბჭოში

— **კამოს სახელობის საავადმყოფოს გაფართოება.** ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა დაადგინა ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოს გაფართოება. ამ მიზნით გამოყოფილი იქნება სპეციალური კომისია, რომელიც დაათვალიერებს საავადმყოფოს გვერდით მდებარე შენობას და მიიღებს ზომებს ამ შენობაში მოთავსებულ სკოლის სხვაგან გადასაყვანად.

— **ნაძალადევის კლუბისათვის.** ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა დაადგინა ნაძალადევის კლუბის აგების გასაგრძელებლად და გასათავებლად გადაიდოს კულტფონდის საშუალებიდან 200 მილიონი მანეთი, და აგრეთვე მხარი დაუჭიროს მთავარ სახელოსნოების ადგილკომის და ამშენებელ კომიტეტის შუამდგომლობას სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე სათანადო თანხების გაღების შესახებ.

— **შოფერების კავშირიდან გამორიცხვა.** ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა წინადადება მისცა საორგანიზაციო განყოფილებას, გამოსცეს სათანადო ცირკულიარი კავშირიდან იმ შოფერების გამორიცხვის შესახებ. რომელნიც ავტომობილით მიმსვლელის წესებს არღვევენ.

— **აღდგომის კვირის უქმე დღეები.** ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატის დადგენილებით, შაბათს, 7 აპრილს მუშები და მოსამსახურენი განთავისუფლებულ უნდა იქნან დღის 12 საათზე. 8 და 9 აპრილი გამოცხადებულია უქმე დღეებად. (ხელოვნების მუშაკთა მიმართ დაშვებულია) ხელოვნების მუშაკთათვის უქმე დღეებია 7 და 8 აპრილი.

— **განათლების მუშაკთა კონფერენცია.** 23 აპრილს მოსკოვში შესდგება განათლების მუშაკთა კონფერენცია. 3 აპრილს აქ გაიმართება საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის განათლების მუშაკთა ცენტრალურ პროფკავშირების თავმჯდომარეების თათბირი.

— **ექსკურსია მოსკოვში.** განათლების მუშაკთა კავშირის სახლის გამგეობის ინიციატივით მოწყობილ იქნება ექსკურსია მოსკოვში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ განათლების მუშაკთა სახლების ქვე-სექციების ყველა მდივნები.

საქ. პრ. კ. ს. პრეზიდიუმში.

— **სატარიფო სარტყლების გაუქმებისათვის.** ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა განიხილა სატარიფო ეკონომიურ განყოფილების მიერ წამოყენებული საკითხი სატარიფო სარტყლების გაუქმების შესახებ. პრეზიდიუმმა საჭიროდ იცნო არსებულ სარტყლების გადასინჯვა და დაავალა სატარიფო-ეკონომიურ საბჭოს, აღძრას ეს საკითხი ა.-კ. შრომის კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის მართველობის სატარიფო კომისიაში.

— **ქართველ ხელოვანთა საზოგადოება.** ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა განიხილა ხელოვნების მუშაკთა კავშირის მიერ აღძრული საკითხი ხელოვნების ქართველ მუშაკთა საზოგადოების მიერ ხელოვნების მუშაკთა საქართველოს კავშირის სახელწოდების მითვისების შესახებ. ამ საკითხის შესახებ პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მისცეს განათლების სახალხო კომისარიატს აუკრძალოს აღნიშნულ საზოგადოებას ხელოვნების მუშაკთა საქართველოს კავშირის სახელწოდების ტარება და საზოგადოების წესდება გადმოგზავნოს განსახილველად ს. პ. კ. ს.

— **ხელოვნების მუშაკთა კავშირის შუამდგომლობა.** ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა საჭიროდ იცნო დაკმაყოფილებულ იქნას ხელოვნების მუშაკთა კავშირის შუამდგომლობა ხელოვნების სასახლეში რამოდენიმე ოთახის დათმობის შესახებ კავშირის კულტ-სახლის საჭიროებისათვის.

— **ოქროს მომგებიან სესხის შესახებ.** პრეზიდიუმმა აუცილებლად იცნო ოქროს მომგებიან სესხის კამპანიის ჩატარება და ამ მიზნით პროფკავშირთა საბჭოს სახელით მოწოდებების გამოშვება და პრესაში გაშუქება. აგრეთვე ეს საკითხი უნდა დაისვას საბჭოს მახლობელ პლენუმზე.

თესვის კამპანია

გორის მაზრა

გორის მაზრაში შეუდგნენ ენერგიულათ თესვის კამპანიის გატარებას. სპეციალურ თათბირზე თესვის კომპანიის გატარებისათვის გამორკვეულ იყო ყოველგვარი საშუალებანი და შესაძლებლობანი. თესლის სესხის სახით აღიარებული იქნა აუცილებლათ გადაიდოს 15.000 ფუთი გაზაფხულის ხორბლეული. თესვის კომიტეტის განკარგულებაში აღმოჩნდა აღნიშნული თესლი მხოლოთ 3000 ფ რაოდენობით, რაც უკვე განაწილებულია. თესვის კომიტეტი ელის 4000 ფ. სიმინდის მიღებას, რომელიც აგრეთვე გაიცემა თესლი სესხის სახით. ელიან აგრეთვე 1000 ფუთი ქარტოფილს დასარგავათ. განსაზღვრულია დასათესი მოედანი მაზრის მასშტაბით: ის უნდა იქნეს გასულ წლების მოედანზე მეტი 15 პროც. თესვის კომიტეტის აგენტები ეწევიან პროპაგანდას სათესი მოედნის გადიდებისათვის. აგრონომიულ ქვე განყოფილების განკარგულებაშია 60 გუთანი, 12 სათესი მანქანა, რომელსაც ურიგებენ გლეხებს დროებითი სახმარათ.

სასოფლო მეურნეობა

აგრონომიული ქვე-განყოფილების მუშაობა.

აგრონომიულ ქვე-განყოფილების მიერ მთელს მაზრაში აღრიცხულია სამეურნეო იარაღები, რომელნიც მის საკუთრებას შეადგენდენ და გაფანტული იყვნენ აქნობამდე უპატრონოთ. დიდი უმრავლესობა მათგანი შეკეთებულია სპეციალისტ მექანიკოსების მიერ.

ქვე-განყოფილების მიერ მოწყობილია სახელოსნო ხელოვნურ ფიჭის დასამზადებლად, რაიც დიდ დახმარებას გაუწევს მაზრაში მეფუტკრეობას.

ქვე განყოფილება აწარმოებს ბოსტნეულობის თესლეულით ვაჭრობას. ყველას შეუძლია იაფ ფასებში შეიძინოს საჭირო სათესლე მასალა. მოკლე ხანში მიღებული იქნება შაბიამანი და გოგირდი, რომელიც გაიყიდება გაცილებით უფრო იაფ ფასებში ვიდრე კერძო ბაზარზე.

ქვე-განყოფილება ამუშავებს ოთხ კულტურულ საჩვენებელ ბაღს, დამუშავებულია აგრეთვე 6 დესიატინა საჩვენებელო მინდორი და 150 დესიატინა გარეშე გლეხ-კაცთა მიწები როგორც საჩვენებელი მინდვრები.

მოწყობილია გორში სამაგალითო პუნქტი საუკეთესო ჯიშის ცხენით და ბუღათი.

მთელს მაზრაში მოწყობილ იქნა 15-მდე საუბრები სურათების ჩვენებით სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე. საუბრების მოწყობა გრძელდება.

ქვე-განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო უპარტიო გლეხთა კონფერენციების მოწყობაში და კონფერენციებზე აგრონომების მიერ ყველგან იქნა გატარებული ფართო პროპაგანდა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე.

ბაღი პოლიტ-განათლების განყოფილებას.

სამაზრო აღმასკომმა გადასცა სამაზრო პოლიტ-განათლების განყოფილებას საექსპლოატაციოთ ქ. გორში ნაციონალიზაცია ქმნილი კულტურული ბაღი 2 დესიატინა. განყოფილება უკვე შეუდგა ბაღის დამუშავებას საგრონომიო განყოფილების დირექტივებით და იმედოვნებს, რომ შემოდგომისათვის ბაღი კარგ შემოსავალს მისცემს მას. ბაღში არის საუკეთესო ჯიშის ხეხილი და აგრეთვე დიდი საბოსტნე ადგილი.

პროვინციაში

ს. კორმაღლი (ქუთაისის მაზ., გომის თემი)

ამ დღეებში შედგა კორმაღლის ეკლესიის მრევლის კრება თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ივანე თევზაძე და მდივნათ ს. ნიშნიანიძე.

დღის წესრიგში იდგა საკითხი ეკლესიის დაცლის და შიგ სასწავლებლის მოთავსების შესახებ.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ამხ. ივანე ადეიშვილს, რომელმაც კრებას დაუხასიათა, რომ ეკლესია არის ხალხის გონების დაბნელების ადგილი.

მაგალითისათვის აღნიშნა, თუ როგორ მოექცნენ ეკლესიებს ზემო ზეთის თემში (მეზობელი თემია), აქ დაშალეს ოთხი ხის ეკლესია და ამ მასალიდან ააგეს 8 წლიანი შრომის სკოლის შენობა რამოდენიმე კვირის განმავლობაში. ამხ. ივ. ადეიშვილმა მოუწოდა კრებას, რათა ეს სიცრუის ტაძარი გადაექმნათ განათლების კერად. სიტყვა ეძლევა ამხ. ვარლამ გვენეტაძეს, რომელმაც განუმარტა ხალხს, რომ დღეს დადგა ის დრო, როდესაც გვაქვს ბედნიერება მოვიხმაროთ ხალხის სასარგებლოდ თერთმეტი უზარმაზარი საეკლესიო შენობები, რომლებიც არის გომის თემში. მათში ორი არის ხის და დანარჩენი კი 9 ეკლესია ყველა ქვის შენობებია სამაგალითო სახურავებით. მღვდლები თავის შვილებს ჩვენსავით უსწავლელებს კი არ სტოვებდნენ, სთქვა მან, არამედ მათთვის თვით მთავრობას ჰქონდა აგებული სასწავლებლები, სადაც მათი შვილები უფასოდ სწავლობდნენ და ამთავრებდნენ სემინარიებს, რათა გამოსულიყვნენ უფრო დახელოვნებული მღვდლები, რომ არ გაეგო ხალხს ყოველივე მათი ცრუ მოქმედებები. დაბოლოს ამხ. ვარლამ გვენეტაძემ მოუწოდა ხალხს. ბოლოს ამხ. მოუწოდა ხალხს ეკლესიები სკოლებად და სხვა კულტურულ დაწესებულებებად გადაექციათ.

სიტყვა ეძლევა ამხ. ნოე თევზაძეს,

ნარჩენი—უკანა რიგში იქნება დაყენებული.

აი რეალური საერთო ღონისძიებანი. აქეთკენ უნდა ვიფიქროთ, რომ შეცდომაში არ შევიდეთ.

რას გვაძლევს ჩვენი „პლატფორმა“? წაიკითხეთ და ისიამოვნეთ.

> „პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა იქნას გადატანილი პარტიის წევრთა აღზრდის და მშრომელთა მასების იდეურად ხელმძღვანელობის მუშაობაზე“.

აი რეცეპტი № 1.

გახსენით ამ რეცეპტის რეალური შინაარსი. უბრალოთ რომ ვსთქვათ, მისი შინაარსი შეიძლება ავხსნათ ამგვარად: დაე იმუშაოს თავისთვის საბჭოთა აპარატმა (აღმასკომებმა, ტრესტებმა, სახკომისარიატებმა და სხვ), პარტია კი დაე დარჩეს სადისკუსიო კლუბის და საპროპაგანდო საზოგადოების მდგომარეობაში.

რას ნიშნავს საკითხის ამგვარად დაყენება? იმას, რომ პარტია ხელიდან გაუშვებს სადავეს. იმას, რომ პარტიაში ალი ზრდებიან კარგი პროპაგანდისტები და არა ადმინისტრატორები; იმას რომ საბჭოთა აპარატი განვითარდება პარტიისაგან დამოუკიდებლად; იმას, რომ ამ აპარატს და პარტიას შორის განხეთქილების საფრთხე სულ უფრო და უფრო გაძლიერდება, სხვანაირად რომ ვსთქვათ, იმას, რომ ბოლოს და ბოლოს განხორციელდება „ნეპმანების“ ლოზუნგი: „საბჭოები კომუნისტების გარეშე“. კარგი პერსპექტივაა! შესანიშნავი რეცეპტია! დიდებული მეთოდია წვრილ-ბურჟუაზიულ საფრთხესთან ბრძოლისა!

რომ შრომის განაწილება საბჭოთა ორგანოებსა და პარტიას შორის საჭიროა, ეს ყველას ესმის; რომ მუჯლუგუნების, უბრალო საქმეებში ჩარევის, ურთიერთობაში ქაოსის სისტემა უნდა იქნას მოსპობილი, ესეც ცხადია. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ პარტია მმართველის და ხელმძღვანელის როლიდან უნდა გადავიდეს საპროპაგანდო წრის მდგომარეობაზე. აქ კი ნურაფერს უკაცრავად, ამხანაგებო!

რომ არაფერი იჭვი არ შეგვეპაროს ჩვენი შესანიშნავი პოზიციის ლიბერალურ ხასიათში, მოვიყვანოთ შესაძლებელ გარდაქმნის წინააღმდეგ „ბრძოლის შემდეგ მეთოდები“.

> „საჭიროა მივსცეთ ნამდვილი, ფართო, დაუბრკოლებელი (დაუბრკოლებელიც. ნ ბ.) საშუალება უპარტიოებს საერთოთ, უპარტიო ინტელიგენტებს და კვალიფიკაციურ მუშებს კერძოთ, დაიკავონ ყველა საბჭოთა თანამდებობანი (სახ. კომისრების თანამდებობაც? ნ. ბ.) და არჩევითი თანამდებობანიც“.

აი თქვენ რეცეპტი № 2.

რას ნიშნავს ეს სიზმარი? თუ არჩევით საბჭოთა თანამდებობაზე (ე. ი. აღმასკომების წევრების, პრეზიდიუმის წევრების, საბჭ. რესპ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წევრების, სახ. კომისრების და სხვათა თანამდებობაზე) საჭიროა **დაუბრკოლებელი** (!!) დაშვება „უპარტიო ინტელიგენტებისა“ და (რა არის ეს „და“?) „კვალიფიციურ მუშაკებისა“, რაღა დარჩება პროლეტარული დიქტატურისაგან? ეს არის ნამდვილი „სმენოვეხოველების“ პროგრამა. აი რა არის ჩვენი პლატფორმა, ლიბერალო ამხანაგებო!

ამ დასკვნას სათანადო სიტყვების წარმოუთქმელად არსებითად შეიცავს პლატფორმის შემდეგი დებულება:

> „ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ზინოვიევის მიერ (განა მარტო ზინოვიევის? არ გაგონდებათ სხვა სახელებიც? ნ. ბ.) წამოყენებულ ლოზუნგზე „უპარტიოების ჩაბმა“, არამედ იმაზე, რომ მოისპოს კომუნისტების მონოპოლია პასუხისმგებელ ადგილებზე“...

(პლატფორმის ავტორის მიერ არის ხაზგასმული. ნ. ბ.).

დღემდის ამ „მონოპოლიაში“ მთელი პარტია ხედავდა პროლეტარული დიქტატურის არსებობის გარანტიას. მაგრამ: „ნეპური დრონი, „ნეპ“-ის სიმღერები!

მაგრამ თუ ეს „შესცვალეს“ პლატფორმის ავტორებმა, ამას არ შესცვლის **ჩვენი პარტია.** ის სრულიადაც არ ფიქრობს უპარტიო ინტელიგენტებისათვის პროლეტარულ დიქტატურის დათმობას.

ის მოიზიდავს მათ მუშაობაში. დიდი პატივისცემით მოეპყრობა გონებრივ მუშაობის პატიოსან უპარტიოთა წარმომადგენლებს. მაგრამ თავის ხელმძღვანელობას ის კი არ შეასუსტებს, არამედ **გააძლიერებს.**

ვინაიდან მხოლოდ ამ პირობებში ჩვენ შეგვიძლია განვავითარდეთ სოციალიზმის და არა თუნდაც მოწინავე კაპიტალიზმის მხრივ.

რეცეპტი № 3. „უარის თქმა „პარტიის წმენდის“ განმეორებაზე, როგორც დემაგოგიურ, უშედეგო საშუალებაზე“.

ისევ შეგეშალათ ანგარიში, ამხანაგებო! ასეთ „პირობას“ პარტია ვერ მოგცემთ. სრულიადაც არ არის მართალი, რომ „წმენდა“ იყო დემაგოგიური საშუალება რა თქმა უნდა იყო შეცდომები, თვითმკვლელობასაც ქონდა ადგილი ამ ნიადაგზე. მაგრამ მხოლოდ უიმედო ფილისტერები განაცხადებენ პროტესტს წმენდის წინააღმდეგ.

საერთოთ პარტიის სოციალური შემადგენლობა გაუმჯობესდა გაწმენდის შემდეგ. ეს კი მთავარია. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დაგპირდეთ ამ მეთოდის გაუქმებას, რითაც განუწყვეტლივ გავზრდით ახალ მუშების კადრებს, რომელნიც ჩვენ პარტიაში შემოდიან.

ყოველივე ამის შემდეგ ნახევრად ოპორტუნისტულ პლატფორმის ავტორები გვიცხადებენ:

> „ამასთან ერთად (მუშათა ოპოზიციის წინააღმდეგ პოლემიკასთან ნ. ბ.), ლენინის მოხსენებაში იყო მეტად დამახასიათებელი და მეტად სახიფათო... გამოსვლები სამეურნეო აღმშენებლობაში მუშათა როლის წინაშე თაყვანისცემის და კომუნისტური „ამპარტავნების“ წინააღმდეგ; მეტად დამახასიათებელია აგრეთვე ამხ. ტროცკის განცხადება იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის საუკეთესო ეკონომიური სისტემა სამხედრო კომუნიზმთან შედარებით.

მოითხოვენ რა ბურჟუაზიულ ინტელიგენციისათვის არჩევითი თანამდებობასაც კი, ავტორები უსაყვედურებენ ლენინს! ლენინი სავსებით მართალი იყო, როდესაც პროტესტს აცხადებდა კომამპარტავნობის წინააღმდეგ, რადგანაც მას სურდა მოესპო ფრაზეოლოგია და შეესწავლებია საზოგადოებისათვის საქმიანობა, აიძულებია იგი ხელი მიეყო სერიოზული **სწავლისათვის.** ვინაიდან დღეს არა ლიტერატურშჩინის, არამედ საქმიანობის დროა აი რა სურდა ლენინს. მაგრამ ჩვენი „ოპოზიციონერები“ ეშმაკობენ: თავის თვალში დირე აქვთ და ამხ. ლენინის თვალში ეძებენ მას!

ხოლო იმაში, რაც ტროცკიმ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე სთქვა,— სად არის შეცდომა? დიახ, „ახალი“ პოლიტიკა უფრო რაციონალურია დღევანდელ პირობებისათვის, და მაშასადამე უკეთესიც. ხოლო თქვენი „პოლიტიკა“, რბილად რომ ვსთქვათ, არა რაციონალურია, ე. ი. უფრო ცუდია იმ პოლიტიკაზე, რომელსაც პარტია აწარმოებს.

იგი კიდევ უფრო ცუდიც არის, რადგან იგი არის მენშევიკურ დემოკრატიულ იდეების გამოძახილი. ვინაიდან „პლატფორმა“ არის მენშევიზმისაკენ დაქანება. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია საყვედური, რომელიც მიმართულია პლატფორმის ავტორების მიერ ჩვენი პარტიისადმი, რომ პარტია სცდილობდა „ჩაითვალა ხელისუფლების შენარჩუნება, როგორც თვით მიზანი“. უაზრო თავის თავად ეს დებულება არის ბ-ნ კაუცკის და მარტოვების „საერთო დასკვნებით“ სიტყვა-სიტყვით განმეორება. ამგვარად ლაპარაკი რევოლიუციონურ მარქსისტს არ შეუძლია.

ასეთია პლატფორმის მთავარი აზრები. მათ გარშემო თავს იყრის ძველის-ძველი „მოთხოვნილებანი“. ამ „მოთხოვნილებათა“ კულმინაციური პუნქტი მდგომარეობს სურვილში განდევნონ ზოგიერთი ვინმე ცკას შემადგენლობიდან. ეს გადაჭარბებული სიბრძნეა ანონიმურ ავტორების.

მიუხედავათ იმისა, რომ განხილულ პლატფორმებს ეტყობა სხვა და სხვაობა, ძნელი არ არის დავინახოთ ზოგი რამ საერთოც. ეს საერთო მდგომარეობს ორივე პლატფორმის მენშევიკურ ძირში და იმაში, რომ მენშევიკური სახე დაფარულია გარეგნულად რადიკალური ფრაზის სამოსელით. ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილ-ბურჟუაზიული გავლენა ფაქტია. იგი ქმნის ისეთ „იაჩეიკებს“, როგორც არის „რაბოჩაია პრავდა“, იგი იჭრება შესუსტებული სახით, ჩვენი კომუნისტური ბიუროკრატიის წრეში. აი ამიტომ პარტია ვალდებულია კი არ გაჩერდეს, არამედ ყველგან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ხალხს.

ჩვენი პარტია სრულიადაც „არ გაკოტრებულა“ და არ გაუწყვეტია კავშირი მასებთან. პირიქით იგი გრძნობს ახალ ძალების შემატებას, იგი იზრდება ისე ძლიერად, **როგორც არასდროს.** მით უფრო ადვილი იქნება მისთვის გადალახოს ის „გადახრანი“, რომელიც შემჩნეულია მუშათა მოძრაობაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის ზეგავლენით.

ნ. ბუხარინი.

რომელმაც მოუთხრო კრებას, რომ მან თვისი თვალით ნახა ქალაქ ქუთაისში დავით და კონსტანტინეს „უხრწნელი ნეშთების" მაგიერ დაფშვნილი და ფოტონი ძვლები, რომლებიც ეყარა უბრალო ყუთში. შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ბესარიონ ამაღლობელი, რომელმაც დაიწყო ასე „ამ ღრმა მოხუცებულობის დროს ამას შევესწარით, ოთხმოცი წლისავარ მგონი, ოთხმოცჯერ ყოფილვარ მოწამეთში სალოცავად და იქ კი თურმე უბრალო ძვლები ყოფილაო". ილაპარაკეს სხვებმაც.

ხალხმა დაადგინა: დაიცალოს ეკლესია და შიგ მოათავსონ სკოლა, რომელსაც დღის შენობა არა აქვს, რის გამო ბავშვებს ნაშუადღევს უხდებოდათ მეცადინეობა.

ხ. ნიშნიანიძე.

კინჩხის თემი (ქუთაისის მაზრა)

კინჩხის თემი დაშორებულია ქუთაისზედ 40 და ხონზე 25 ვერსტით. მცხოვრებთა რიცხვი ამ თემში 500 კომლს არ აღემატება, რომლებიც ყველა მშრომელ გლეხებისაგან შესდგება. მდებარეობა აქ მთა-გორიანია. ზამთარი დიდი თოვლით 5 თვე გრძელდება ნიადაგი მწირია და მუშას საკმაო საზრდოს არ აძლევს. ხშირად ნაადრევი რთველი და ყინვისაგან მთელი წლის მოსავალი ილუპება, ამიტომ აქაურები ხელმოკლე და ღარიბები არიან. რასაკვირველია, სწავლა განათლების მხრივაც ეს თემი ჩამორჩენილი იყო დღემდის და ათასნაირ ცრუმორწმუნეობის მორევში იხრჩობოდა. რევოლიუციის დაწყებამდე აქ მარტო ერთი სკოლა არსებობდა. ეს სკოლა ნიკოლოზის მთავრობასთან ბევრის დავიდარაბის და ხვეწნა-მუდარის შემდეგ ძლივს დაიარსა ხალხმა 1910 წელში. მაშინდელი მთავრობა ხალხს ამაში არაფერს არ შეწევა, მაგრამ ხალხმა, მიუხედავად თავის სიღარიბისა, სკოლისათვის მშვენიერი შენობა ააგო. ამხ. ს. მამულიას მეთაურობით, რომელსაც წილად ხვდა ამ სკოლის გამგეობა, ეს სკოლა იდეალურად მოაწყო როგორც ჰიგიენის ისე სწავლა-აღზრდის მხრივ. ამ სკოლაში მაშინ 200 მოწაფე ითვლებოდა ორივე სქესისა. თითქმის ყოველ კვირაობით იმართებოდა საბავშვო ლიტერატურული დილა-საღამოები კონცერტებით და სახალხო კითხვებით. ხალხი დაუახლოვდა მეცნიერების ამ პირველ დასაწყისს ტაძარს და ხარბად დაეწაფა განათლების წყაროს. ხედავდი ამას და გული გვივსებოდა მომავლის კარგი იმედებით. მაგრამ ვაი უბედურებას! 1916 წ. ივნისის არა ჩვეულებრივი წვიმების დროს, ეს სასწავლებელი თავის ინვენტარით წალეკილი და განადგურებული იქმნა გვერდით მომავალ ადიდებული მდინარისაგან. ყველა მუშა ხელი მაშინ ომში იყო გაწვეული, შინ მარტო მოხუცებულები, ქალები და ბავშვები იყვნენ აბა ვის შეეძლო ან ახალი შენობის აგება და ან დროებით სკოლისთვის ბინის დაქირავება. ბედათ აქ გამოჩნდა ერთი გულ-შემატკივარი პიროვნება ხალხისა, რომელმაც თავის ხარჯით დაუქირავა თემს სკოლისათვის ბინა 1915 წ. სექტემბრიდან 1918 წ. მარტის ბოლომდე. სკოლა ამ ბინაზედ მოთავსდა და მეცადინეობა არ შეწყვეტილა. 1918 წლის გაზაფხულზედ. როგორც სხვაგან, ისე კინჩხაშიაც ჩამოვიდნენ რევოლიუციონური აზრებით აღფრთოვანებული ჯარის კაცები. იმათ გაამხნევეს დაზარალებული ოჯახები და, მიუხედავად სიღარიბისა გაბედეს ეყიდათ თემის შუა ადგილზე სკოლისათვის ეზო და მშვენიერი სახლი (ორ სართულიანი. ქვიტკირის და ზეიგის ხ. ს. საკმაო ოთახებით და მოწყობილობით), სადაც საჩქაროთ მოათავსეს სკოლა და შემდეგში თანდათანობით მოაწყო ყოველივე საჭირო ნივთებით. ამ შენობაში მშვენივრად თავსდებოდა არა მთლიანი შრომის სკოლა, ხოლო მთელი 5 სკოლისთვის, რომლის გახსნა-დაარსებაზე მთავრობამ ნება დაგვრთო, შენობის აგების სამზადისს ხალხი უკვე შეუდგარი იყო, მაგრამ უბედურება კიდევ ეწვია ჩვენს თემს. მარტის 10-ს ღამით, როცა ამ სკოლაში პირველი სხდომა ჰქონდათ კინჩხის თემის მიწის კომისიას, შენობის ბუხრიდან ცეცხლი გაუჩნდა და მძლავრი ქარის წყალობით იგი შთანთქა ცეცხლმა გადარჩა სკოლის სულ უმნიშვნელო ინვენტარი, ზარალი აღემატება ერთ მილიარდ მანეთს.

ამან ხალხი დიდათ ჩააფიქრა და დაალონა. ამ საქმეზედ საჩქაროდ მოწვეულმა კრებამ, მიუხედავათ ამდენი ზარალისა და დღევანდელი მძიმე ეკონომიური პირობებისა, კიდევ გამოსთქვა სურვილი ახალი შენობის აგებაზედ მთლიანი შრომის სკოლისათვის. დიდი თავდებია თანხმობა ხალხისა, მომავალი ხარჯების გაღებაში, მაგრამ რადგან ეს თემი ჯერ ისედაც სიღარიბეში იხრჩობა და მასთან ამდენი ზარალი ნახეს, ვფიქრობ, მათ გაუჭირდებათ ამ საქმის შესრულება. ამიტომ კინჩხის თემი ღირსია ძმური ხელის გაწოდებისა ამ გაჭირვების დროს.

შემოწირულება და დახმარება ფულით და ნივთებით მიიღება კინჩხის თემის აღმასკომის სახელზედ.

კინჩხელი ძველი მუშა.

ქვათანის რაიონი (სენაკის მაზრა).

ქვათანის რაიონში გლეხებმა საჯარო კრებებზე გააუქმეს ყველა ეკლესიები და გამოაცხადეს საზოგადო დაწესებულებებად. სუჯუნის თემში არსებობდა 12 ეკლესია ქვათანისაში 6, ნაესაკოვის თემში—3, და გულეკარის თემში ორი ეკლესია. ყველა ეს ეკლესიები გაუქმებულია დასახელებულ ეკლესიების „წმინდა მამებმაც" უკვე გაიხადეს ანაფორები

გლეხები განთავისუფლდნენ საუკუნოებრივი ცრუ-მორწმუნეობიდან იქ, სადაც ბრწყინავდნენ ჯვრები ეკლესიებზე, დღეს გუმბათებზე ფრიალებენ წითელი დროშები. ეს ყველაფერი ჩატარდა უმტკივნეულოდ. მაგ., სუჯუნის თემში 25 თებერვლის დღესასწაულის მიტინგზე თვით ხალხის მიერ იყნა დასმული საკითხი ეკლესიების გაუქმების შესახებ. რამოდენიმე ხანია, რაც ქართველმა გლეხმა ზურგი შეაქცია ეკლესიას და სამღვდელოებას ხალხიც ბევრი ხანია, რაც გაიძახის სიმღერაში: „თუ ღმერთი გწამს, ეს ხუცესი ჩვენსას ნუ დაიარება, არცა გვინდა მისი წირვა, არცა მისი ზიარება".

ქვათანის რაიონში გაუქმებული ეკლესიები გადაკეთებულია კლუბებათ, სკოლებად და სამკითხველოებად.

აღმშენებლობითი მუშაობა აგრეთვე კარგად მიმდინარეობს. აბაშის რაიონის კოოპერაციულ კავშირის მიერ გახსნილია სოფ. „შუაქალაქში" კრამიტის ქარხანა ამ დღეებში მუშაობა დაიწყება ქვათანის რაიონის გლეხობა ამ ამბავს ხვდება სიხარულით. შიგ დაბა აბაშაში ჩამორთმეულ სახლებიდან შენდება რაიონულ ტეხნიკუმი და კლუბი. თუ არა ეს სახლების ჩამორთმევა, რაიონის გლეხობას დიდი გადასახადი დაეწვებოდა ტეხნიკუმის ასაშენებლად გლეხობა დიდათ კმაყოფილი დარჩა მუშურ და გლეხურ მთავრობის ახალ ნაბიჯით.

ამ რაიონის გლეხობა ამ ბოლო დროს დიდათ შეწუხებულია. სიმინდის ფასის დაკლებით. მაშინ, როდესაც ერთი არშინი მიტკალი ღირს 300 000 მ., ფუთი სიმინდი 100 000 მ., რაც გლეხობას დიდათ აღონებს. იმედია, რომ საბჭოთა მთავრობამ, როგორც გადალახა სხვა უფრო მეტი მძიმე დაბრკოლებები, ისე ამ საქმეშიაც გლეხობას გაუწევს დახმარებას და გადალახავს იმ დაბრკოლებებს, რომელიც წინ ეღობება გლეხობას მისი მეურნეობის აღორძინებაში.

ფახკ ჭ.

ჩვენი ფოსტა

ამხ „კინჩხელ ძველ მუშას". ხშირად გამოგზავნეთ კორესპონდენციები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეების მეცადინეობა

— 4. სამშაბათს, 3 აპრილს და შაბათს 7 აპრილს სა 5—7 საათამდი საგანგებო დანიშნულების 5 წილის სამმართველოთან არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— 5. ოთხშაბათს, 4 აპრილს საღამოს 7—9 საათამდი „შრომის ჰასაკამდი აღზრდის სახლთან" არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. პენიაკოვი.

— 6. ხუთშაბათს, 5 აპრილს საღამოს 6—8 საათამდი „განათლების მუშაკთა სახლთან" არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. სუროვცევი.

— 7. მზიქდავების წრეში მეცადინეობა ხელმძღვანელების გამგზავრების გამო არ შესდგება,

ს. კ. პ. ც. კ. საქალაქ. საპ. გან.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი აცხადებს, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბში (მუშათა სასახლეში) 2 აპრილიდან დაიწყება მთელი რიგი ლექციების კითხვა სოფლიო-წარმოშობის და ანატომიის შესახებ.

ლექციები მსოფლიოს წარმოშობის შესახებ წაკითხული იქნება ორშაბათობით კლუბის დიდ ან პატარა დარბაზში საღამოს 8 საათზე. ლექციები ანატომიიდან—ხუთშაბათობით კლუბის დიდ დარბაზში საღამოს 8 საათზე.

პოლიტიკური და მარქსისტული წრეების ყველა მსმენელები ვალდებული არიან დაესწრონ ამ ლექციებზე. შესვლა უფასოა ყველასათვის.

მე-4-ე რაიონის პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ: არუტანოვი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი აუწყებს, რომ ოთხშაბათს ამა წლის 4 აპრილს საღამოს 5 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატთა საერთო სარაიონო კრება იმ სამხედრო ნაწილების თანადა წრებით, რომლებიც შედიან მე-4-ე რაიონში.

დასწრება ყველასთვის სავალდებულოა პარტდისციპლინის წესით.

პროფესიონალური

განათლების მუშაკთა სახლში.

— სამშაბათს 3 აპრილს, საღამოს 7 საათზე ბავშვთა თვითმოქმედების სექციაში დანიშნულია ამხ. პოტაპოვის მოხსენების გაგრძელება „სკოლაში საკლუბო მუშაობის გატარების ცდის" შესახებ.

— ფიზიკო-მათემატიკურ სექციაში, საღამოს 7 საათზე: 1) თამამშევის მოხსენება—შრომის შკოლებისათვის მათემატიკის პროგრამის შესახებ, 2) გ. გ. კონიევის ცნობა „პედაგოგიური მუზეუმის შესახებ და 3) სტუდარი საკლასო ექსპერიმენტიკის ლექციების მოწყობის შესახებ.

— ოთხშაბათს 4 აპრილს საღამოს 7 საათზე პედოლოგიურ სექციაში—პროფ. უზნაძის მოხსენება თემაზე: ბავშვის გამოკვლევის მეთოდები.

— ოთხშაბათს 4 აპრილს საღამოს 5 საათზე საუბარი ტექნიკურ თანამშრომლებთან „მსოფლიოს წარმოშობის" შესახებ (ქართულ ენაზე).

— საღამოს 7 საათზე პედოლოგიური სექციის ღია სხდომა. მოხსენებას გააკეთებს პროფ. უზნაძე „ბავშვის სულის გამოკვლევის შესახებ".

— პარასკევს, 6 აპრილს, საღამოს 5 საათზე საუბარი ტექნიკურ თანამშრომლებთან „მსოფლიოს წარმოშობის" შესახებ (რუსულ ენაზე).

სახლის გამგე—შიუკაშვილი-კალიუჟნაია.

განცხადებები

ქალ. ტფილისის ტრამვაის მუშა მოსამსახურეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ მუშა-მოსამსახურეებს და ნაცნობ ამხანაგებს, ამა წლის 29 მარტს უდროვოთ გარდაცვალებას, ძველი მოსამსახურე და კარგი მუშის

მელიტონ გიორგის ძე თურმანიძის

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია ამა წლის 3 აპრილს 5 საათზე დიდუბის ეკლესიაში. გამოსვენება ელისაბედის ქუჩა 155.

№ 484 1—1

დედა ესმა ქაიხოსროს ასული თურმანიძისა ჯაიანისა, მეუღლე სოფიო მიხეილის ასული თურმანიძისა (ტუხაშვილის ასული), შვილები ილიჩკა და მარუსია, რძლები საშა ნიკოს ასული, ციბა მალაქიას ასული, ზარდული ზოსიმეს ასული, ძმები ილარიონ, გაბო, პეტრე თურმანიძეები, დები მარო გიორგის ასული ასათიანისა, ნინა გიორგის ასული ქვარაიასი. სიძეები ალექსანდრე ასათიანი, დიმიტრი გაბუნია ვასილი ქვარაია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასის

მელიტონ გიორგის ძე თურმანიძის

უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს, 3 აპრილს, 5 საათზე დიდუბის ეკლესიაში პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება ელისაბედის ქუჩა, 155.

(476 2—2)

მეუღლე გაიანე მიქელაძე, შვილები: ილარიონი, ვლადიმერი და სამსონი, ქალიშვილები: ნატაშა და ევდოკია, სიძე ვარლამი კობახიძე და რძლები მარგალიტა და თამარა მიქელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის ქმრის, მეორების მამისა და მესამეების მამამთილისა ძვირფასი

ვასტა მიქელაძესი.

პანაშვიდი ყოველ საღამოს. დასაფლავება ხუთშაბათს, 5 აპრილს, ქ. ზუგდიდში.

(477 2—2)

რუსთაველის თეატრი

სამშაბათს, 3 აპრილს,

მასკოტა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრ. 288 2—2

სახელმწიფო ოპერა

კრ. 295—1—1

დღეს, 3 აპრილს.

ურიის ქალი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს ღვინის ბითუმათ მყიდველების საყურადღებოთ, რომ მათ შეუძლიანთ იყიდონ

ღვინო

ტფილისის სახალხო ღვინის სარდაფიდან (ყოფ. საუფლისწულო) არა ნაკლები

ასი ბოთლისა ათი პროცენტის

დაკლებით არსებულ ფასებიდან. მისამართი: სარდაფის კონტორა, ქ. საუფლისწულო № 1. (483—3—1)

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ სახალხო კომისარიატის შენობაში შემოღებულია

მორიგეობა დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე ცენტრალურ ტელეფონთან № 21-30,

რომლითაც უნდა ხდებოდეს ყოველგვარი ცნობების მიღება და ტელეფონოგრამების გადაცემა.

(კრ. 294—2—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

მთავარი სამმართველოს

მიერ ტფილისიდან 1-ლი აპრილიდან და ბათომიდან აპრილის 2 დან. საგანგებო განკარგულებამდის, დანიშნულია ყოველ დღიურ მიმოსვლისათვის ორი დამატებითი სამგზავრო მატარებელი №№ 7 და 8 ტფილის-ბათომის რაიონში თანახმად შემდეგი ნუსხისა:

ტფილისიდან გავა	№ 8 . . .	საღამოს 8 საათზე.
ხაშურიდან	„ „ . . .	1 ს. 10 წ. ღამით.
შორაპნიდან	„ „ . . .	5 ს. 07 წ. დილ.
რიონიდან	„ „ . . .	6 ს. 10 წ. დილ.
სამტრედიიდან	„ „ . . .	8 ს. 11 წ. დილ.
	და ჩავა ბათომში	12 ს. 06 წ. დღის,
უკან ბათომიდან მატ.	№ 7 . .	8 ს. 15 წ. საღამოს.
სამტრედიიდან	„ . .	12 ს. 48 წ. ღამით.
რიონიდან	„ . .	2 ს. 03 წ. ღამით.
შორაპნიდან	„ . .	3 ს. 54 წ. ღამით.
ხაშურიდან	„ . .	9 ს. 17 წ. დილით.
	და ჩამოვა ტფილისს	დღის 2 საათზე.

№№ 7-8 მატარებელთა შემადგენლობა შესდგება რბილ და მაგარ ვაგონებიდან და ერთ ვაგონ-რესტორანიდან. ვაგონებში ყველა საჯდომი ადგილები დანუმრულია. ამ მატარებლებთან ერთად ტფილის-ქუთაისის შორის ივლის აგრეთვე ერთი მაგარი ვაგონი პირდაპირი მიმოსვლით.

(291 2—1)

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

აცხადებს წევრების საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს, 5 აპრილს, საღამოს 9 საათზე შესდგება

აღმასკომის სხდომა

განსახილველია საბინაო და მიმდინარე საკითხები.

(კრ. 296—2—1) **პრეზიდიუმი**

ტარიფი ელექტრონის ენერგიაზე 1923 წ. მარტის თვეს

ტარიფი ა.	1 კილოვატი საათი	135 000 მან.	1 სანთელი თვეში	25.000 მან.
„ ბ.	„ „ „	170 000	„ „ „ „	35 000 „
„ გ.	„ „ „	200.000	„ „ „ „	40 000 „
„ დ.	„ „ „	235.000	„ „ „ „	45.000 „

ტარიფი ა—ბინები და სახელმწიფო დაწესებულება არა სამეურნეო ორგანოები.

„ ბ.—სახელმწიფო დაწესებულება სამეურნეო ორგანოები და კერძო წარმოებები კატეგორია I.

„ გ.—კერძო წარმოებები კატეგორია II.

„ დ—კერძო წარმოებები კატეგორია III.

კერძო წარმოებები იყოფა 3 კატეგორიათ:

I. რაიონები დიდუბის, ნაძალადევი და ნავთლუღი.

II. ყველა დანარჩენი გარდა კატეგორიებისა I და III.

III. მდებარე შემდეგ ქუჩებზე: რუსთაველის, პლეხანოვის, სასახლის, სოლოლაკის, ლენინის, თავისუფლების მოედანი, კარლ მარქსის, პუშკინის, შტაბის, პუშკინის შესავალი.

ელექტრონის სადგურების გამგე **აფანასიევი.** კრ. 297—2—1

ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოს განცხადება.

ყველა დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი წესები საბაჟოების მიერ შხამიან და ძლიერად მომქმედ საშუალებათა გაშვების შესახებ. (1922 წლის 14 თებერვლის საბაჟო ტარიფის 112-ე მუხლის შენიშვნა 6 ე).

შხამიანი და ძლიერად მომქმედი საშუალებანი, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მოდის, გაიშვება საბაჟოების მიერ შემდეგ საფუძვლებზე:

1. საზღვარ-გარეთიდან შხამიან და ძლიერად მომქმედ საშუალებათა მიღების უფლებით სარგებლობენ; ა) სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და კერძო ფაბრიკები, ქარხნები და ლაბორატორიები მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი საწარმოვო მიზნებისათვის და ნედლი მასალის სახით სწორედ იმ ქიმიურ და ქიმიურ-ფარმაცევტულ პრეპარატების დასამზადებლად, რომლის დამზადება ნებადართული აქვთ მათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ. ბ) სახელმწიფოებრივი კოოპერატიული და კერძო წარმოებანი, რომელნიც ეწევიან ბითუმად ვაჭრობას მედიკამენტებით არსებული წესების თანახმად. გ) უმაღლესი სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებები თავიანთ ლაბორატორიების საჭიროებისათვის.

2. საბაჟოების მიერ შხამიანი და ძლიერად მომქმედ საშუალებათა გატანის ნებართვა ადრესატებს ეძლევათ იმ მოწმობების თანახმად, რომელიც მიეცემათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ § 1 „ა" მუხლში აღნიშნულ წარმოებებს, ჯანმრთელობის სახ. კომ-ტის მიერ—§ 1 „ბ"—მუხლში აღნიშნულ წარმოებებს და § 1 „გ" მუხლში აღნიშნულ წარმოებებს თვით უმაღლეს სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებათა მიერ, რომელთაც ესაჭიროებათ შხამიანი და ძლიერად მომქმედი ნივთიერებანი.

შენიშვნა: გაცემული მოწმობები რჩებიან ძალაში ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს წარმოების მოქმედების დასრულებამდე.

3. საბაჟოდან საშუალებათა გაცემის დროს მიმღებელი ხელს აწერს მიღებაზე საშუალებათა სახელწოდების და რაოდენობის აღნიშვნით.

4. საბაჟო საშუალებათა გაცემის შემდეგ, წარდგენილ მოწმობების თანახმად დაუყოვნებლივ აცნობებს, წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით, საშუალებათა სახელწოდებას და რაოდენობას, როდესაც ადრესატი ეკუთვნის § 1 „ა"-ში აღნიშნულ კათეგორიას სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ეკონომიურ განყოფილებებს, როდესაც ადრესატი ეკუთვნის § 1 „ბ"-ში აღნიშნულ კათეგორიას—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ჯანმრთელობის განყოფილებებს, და როდესაც იგი ეკუთვნის § 1 „გ"-ში აღნიშნულ კათეგორიას—დაწესებულებებს, რომელთაც გასცეს მოწმობები და ყველა შემთხვევებში—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო განყოფილებას.

წესები ესე მოქმედებას იწყებს ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებათა მიერ მიღების დღიდან.

ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოს საქმეთა

კრ. 284 3—3 მმართველი—**მღლაკელიძე.**

ქალ. თბილისის მე-2-ე უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში სტეფანე სტანისლავის ძე **ვრუბლევსკი,** იგივე ვრუბელ, როგორც მოპასუხე თავის ცოლთან აგრიპინა ტიმოთეს ასულს, იგივე ფომინის ასული **ვრუბლევსკაიასთან,** მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნების არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

(482—1—1) სახალხო მოსამართლე **მარ. ჩხეიძე.**

აღმასკომის საამშენებლო განყოფილება

ამით აცხადებს მსურველთა საყურადღებოთ, რომ განყოფილება [illegible] რით რიყის ქვის და კუბიკური ქვაფენილების [illegible] ცენტრალური ქუჩებში, და აგრეთვე მიწის სამუშაოებზე.

პაკეტები ნაჩვენები უნდა იყოს: ა) ფასი [illegible] (ხელფასი) და ბ) ფასი თავისი მასალებით და მოტანით.

განცხადებების მიღება მხოლოდ 10 აპრილამდე დღის 10 ს. ოთახი № 42.

კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველდღე მდივან კალანდაძესთან ოთახი 41.

290—2—2 **საამშენებლო განყოფილება.**

მუსულმანთა ქალის ტეხნიკუმ-საბავშვო-ბაღის აღმშენებელი კომიტეტი

(ქალაქის აღმასკომი, ოთახი № 42) ამით იწვევს მსურველთ მოიჯარადრეებს აღნიშნული სკოლის საჭიროებისათვის სოლოლაკის რიყეული ქვის გამოტანის იჯარით აღებათ. საჭიროა 50 კუბ. საჟენამდე.

კონდიციების ნახვა შეიძლება საამშენებლო განყოფილების კანცელარიაში. **საამშენებლო განყოფილება**

კრ. 289—2—2

იყიდება კარგათ მორთული

სახლი

ბაღით

ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2.

401—10—9

ელექტრონის და ხინჯილის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ-არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ქიმობას საჭიროებენ.

სავადმყოფოს სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (238—26—25)

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჰლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტით.

ადეხს 9—12 საათ.—დღის და 3—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 28. (234—26—22)

ზუგდიდის უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს მცხოვრებ სოფ. შამგონის, ზუგდიდის მაზრის, ალექსანდრე ბაზალის ძე წულაიას ა. წ. აპრილის 24-ს დილის 9 საათისათვის დასაკითხავად ვითარცა მოპასუხეს, საჩივრისა გამო მეუღლე მისი მელანია წულაია, გუსარი ცომეხიას ასულისა მასთან განქორწინების თაობაზე.

475—1—1

ქ. თბილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში მარიამ ზაქარიას ასულს ეღისთავს, როგორც მოპასუხეს ვასილი გრიგოლის ძე ჩიქვაიძესთან 4 000 000 000 მან. შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება 1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32.

სახალხო მოსამართლე **თეთრაშვილი.**

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 9557 შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (481—1—1)

დაიკარგა ვასილი მინდელის სახელზე რაჭის მაზრაში გაცემული მეტრიკული ამოწერილობა, ჩაითვალოს გაუქმებულად. (478 1—1)

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოწმობა გაცემული თბილისის სამხედრო კომისარის მიერ № 1082 სტ. ვარლამ ფილიმონის ძე ულებას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (480 1—1)

საქ. ს. ს. რეს. ჯანმრთელობის კომისარიატი

კურორტების მთავარი

სამმართველო

საქართველოს კურორტების აღსადგენათ მომავალ სარემონტო-სატეხნიკო მუშაობისა და სამრეწველო წარმოებათა ექსპლოატაციისთვის საჭიროა შემდეგი მასალა: რკინეულობა სხვა და სხვა, საღებავი, წყალსადენის და ელექტრონის მოწყობილობა, ინვენტარი სანატორიუმებისა და სამკურნალოებისათვის და სხვა. აგრეთვე მთავარ საკურორტო სამმართველოში იყიდება:

1. ბორჯომის წყალი, 2. ნახშირმჟავე გაზი (CO_2)

3. მანის ჭურჭელი, 4. ტყის მასალა დაუხერხავი და დახერხილი.

მიწოდებით და შეკვეთით შეიძლება მიმართოთ მთავარ საკურორტო სამმართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქვეგანყოფილებაში (საპიორ. ქ. № 30, ტელეფონი № 4-08.) (923)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1923 წლის 20 აპრილს ის მართავს

შეჯიბრებას სადგურ ტაუზში, აგტაგლიაში, რიონში, ხრესილში (გუდირდის წყლები) **წყლის რეზერვუარების შეკეთების იჯარით გაცემაზე.** **შეჯიბრებას**

მუშაობა წარმოებული იქნება სახაზინო მასალებით, რომელიც მოიჯარადრეთ მიეცემა უფასოთ.

თითეული რეზერვუარის შეკეთების ვადა განსაზღვრულია ერთი თვით დღიდან შეკეთების დაწყებაზე უფლების მიღებისა.

ის პირები ან არტელები, რომელთაც სურთ ხსენებული სამუშაოს აღება, მოვალენი არიან წერილობითი განცხადებები ამის შესახებ დახურულ კონვერტში ჩაუშვან ამ მიზნით საბჭოს დარბაზის კარებთან დადგმულ სპეციალურ ყუთში.

კონვერტებზე უნდა იყოს შემდეგი წარწერა „წყალის საქაჩავის რეზერვუარების შეკეთებაზე 1923 წლის 20 აპრილის შეჯიბრებისათვის".

ერთ პირს ან არტელს შეიძლება გადაეცეს რამდენიმე რეზერვუარის შეკეთების უფლება, მაგრამ პირობები თითეული რეზერვუარის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკე.

განცხადებების შემოტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1923 წლის 20 აპრილის დღის 12 საათი, რის შემდეგ საკონტროლო ორგანოების და ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს წარმომადგენლების თანდასწრებით დაიწყება პაკეტების გახსნა.

ფასები განცხადებული უნდა იქნას ოქროს მანეთებში. ანგარიშის გასწორება კი მოხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, ვალდებულების ქაღალდის შედგენის დღე ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის ფინსახკომის მიერ გამოქვეყნებულ კურსის მიხედვით.

პირობების შესახებ განცხადებას თან უნდა ახლდეს კვიტანცია ამიერ-კავკასიის რკინის გზების ერთ-ერთ სალაროში განცხადებული ჯამის 10 პროც. ბეს შეტანის შესახებ. იმ პირებს, რომელთაც იჯარა არ მიეცემათ, ბე დაუბრუნდება დაუყოვნებლივ როგორც-კი გამოირკვევა შეჯიბრების შედეგები. ბე შეიძლება უძრავი ქონებითაც საჭირო საბუთების წარმოდგენით.

გასაცემ მუშაობათა შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს წყლით უზრუნველყოფის განყოფილებაში. თითეული რეზერვუარის შესახებ ცნობის მიღება—კი შეიძლება სათანადო ნაწილების უფროსების კანტორებში.

სალერბო, საავადმყოფო, ზგრეთვე სამრეწველო და სხვა გადასახადები და გადარიცხვა დამზღვევ ორგანოებისათვის დაქირავებულ მუშების შრომის ხელფასიდან იქნება მოიჯარადრის ხარჯზე.

(292. 2—1)